ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 22 აგვისტო, №6-7 (6568)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

...წარმატებით განხორციელებული პროექტები, სამომავლო პერსპექტივები, რის შესახებაც ინტერვიუში აღვნიშნე, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი ბევრად უკეთესი იქნება ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის

რა ეტაპზეა პროექტები, რომელთა განხორციელებაც ახლადმოსულმა ხელისუფლებამ და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა დაიწყეს. რა პრიორიტეტები გამოიკვეთა, რაზეა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ორიენტირებული, რა იგეგმება, რა ვადებში, რა გამოწვევების წინაშე დგას მერია, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ყვარელი“ გთავაზობთ ინტერვიუს მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ ГИВИ ЗАУТАШВИЛТАН.

– ბატონო გივი, წელიწადი და ათი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერად აგირჩიეს. რა იყო მთავარი გამოწვევა, კონკრეტულად რისი გაკეთება შეძელით ამ პერიოდის განმავლობაში? ინფრასტრუქტურის მხრივ, არაერთი პრობლემა არსებობდა, რომელიც მწვავედ იდგა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე. თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ ინფრასტრუქტურის განვითარებას და მასთან დაკავშირებულ პროექტებს, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის იერსახე. კონკრეტულად, რა შეიძლება გვითხრათ, რა პრობლემები მოგვარდა, რა პროექტები განხორციელდა და რისი დასრულებაა გათვალისწინებული მიმდინარე წელს?

– ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა პროექტები, კერძოდ – გარე განათების, სკვერების, საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მინი სპორტული მოედნებისა და სატრენაჟორო სივრცეების მოწყობა, სასაფლაოების შემოღობვა და მისასვლელი გზების მონესრიგება, სასმელი წყლის ქსელების მოწყობა/რეაბილიტაცია. ძირითად საჭიროებებად კვლავ რჩება გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, რომელსაც ეტაპობრივად, შესაძლებლობის ფარგლებში, ვახორციელებთ.

მიმდინარე წელს საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქ. ყვარლის შესასვლელში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადებისა და ეზოების, აგრეთვე, სკვერისა და ილია ჭავჭავაძის ბარელიეფის რეაბილიტაციაც წარმატებით დასრულდა (სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 4 000 000 ლარი). ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით კი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, იმავე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების მოასფალტების სამუშაოები განხორციელდა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 692 510 ლარი შეადგინა;

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით გახორციელდა სოფელ გრემის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც, მთელ სოფელს, 24 საათის განმავლობაში მუდმივად მიეწოდება სასმელი წყალი. ამ პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ 188 041 ლარი შეადგინა;

ამავე ფონდის დაფინანსებით, სოფელ საბუეში, „გორისძირის“ უბანთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები დასრულდა. დაიგო 1200 გრძ. მეტრი ასფალტის საფარი, მოეწყო კიუვეტები, შესასვლელებში კი ცხაურები. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ 754 140 ლარი შეადგინა;

ასევე, მოასფალტდა სოფელ ჭიკაანში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზა. პროექტის განხორციელების შედეგად 1780 გრძივ მეტრზე მოეწყო ორფენოვანი ასფალტის საფარი. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ – 559 900 ლარი შეადგინა.

ამჟამად, ყვარელში მიმდინარეობს „ილიას ტბის“ ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებს სტადიონისა და ამფითეატრის განახლებას, ტრენაჟორებისა და საბავშვო ატრაქციონების, საჩრდილობლების მოწყობას. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 835 ათას ლარს;

სოფელ ახალსოფელში, დასასრულს უახლოვდება მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელშიც იქნება დარბაზი მაყურებელთათვის, გასახდელი და გუნდების დაბინავებისათვის განკუთვნილი ოთახები. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს მილიონ 788 ათას ლარს;

ასევე, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება სოფელ შილდის მე-2 საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც არის გარდამავალი პროექტი. დასრულდება ზაფხულში და ახალ სასწავლო წელს ბავშვებს დახვდებათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემო, რაც დადებითად აისახება მათ უკეთეს განვითარებაზე. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს მილიონ 20 ათას ლარს;

ამავე ფონდიდან ფინანსდება ქ. ყვარელში ე.წ. „არიხაულის არხის“ მე-3 მონაკვეთის რეაბილიტაცია. მოეწყობა 245 გრძ. მეტრი რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი. აღნიშნული არხი ყვარლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და ჩაედინება მდინარე ბურსაში. ჭარბი ნალექის მოსვლის შემთხვევაში, მოსახლეობას არხიდან გადმოსული წყალი

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

ფერისცვალება უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაული 19 აგვისტოს აღინიშნება და იგი ერთ-ერთ განსაკუთრებულ სასწაულთაგანს უკავშირდება, რაც იესო ქრისტემ ამქვეყნად აღავლინა. უფალმა ფერისცვალება იმისთვის ინება, რომ მოციქულებისა და ყოველი მორწმუნისათვის მომავალი ცხოვრების საიდუმლო ეჩვენებინა. გვასწავლა, რომ თითოეულმა ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა დაიწყოს მზადება და შეუდგეს სულიერ ფერისცვალებას, რათა დაიმკვიდროს ღვთის სასუფეველი.

რა საიდუმლოებას მოიცავს მაცხოვრის ფერისცვალება, რა არის ჩვენი სულიერი ფერისცვალებისათვის საჭირო და როგორ უნდა შევხვდეთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს? ამასთან დაკავშირებით გვესაუბრა ყვარლის იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძრის მღვდე-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

დიდება და მადლობა უფალს იმისათვის, რომ მოგვცა შესაძლებლობა გვენახა და გვეცხოვრა მსოფლიოს საუკეთესო ქრისტიანულ წმინდა ადგილზე...

მაკედონიის თვალწარმტაც მთაგორიან ნახევარკუნძულზე მსოფლიოსგან მოწყვეტილი ათონის მთა სრულიად განსხვავდება იმ სამყაროსაგან, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. ათონის მთა ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფოა, სადაც დროც კი სხვანაირად გადის, აქ დღეებს იულიუსის კალენდრით ითვლიან, ხოლო საათებს ბიზანტიური სისტემით, ანუ ახალი დღე დაისზე იწყება და არა შუაღამისას.

ათონის მთა წმინდა ადგილია და თითქმის სრულად არის დასახლებული ბერებით, რომლებიც მთის ფერდობებზე მდგარ 20 ისტორიულ მონასტერსა და „სკიტის“ სახელით ცნობილ პატარა, იზოლირებულ დასახლებებში მკაცრად განსაზღვრული სამონასტრო გრაფიკით ცხოვრობენ.

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

მისაბაძი ბოგირელები, რომელთაც ყვარლის ისტორია გააცოცხლეს და „ბოგირელობის“ დღესასწაული დააწესეს

გაზაფხულის უმშვენიერეს დღეს, 27 მაისს, წელს პირველად აღინიშნა „ბოგირელობა“ ყვარლის მესამე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე გაშენებულ პარკში. ეს იყო ღონისძიება, რომლის მიზანიც იყო ბოგირელების თავმოყრა, და მათზე წიგნის „ბოგირი და მოგონებები“, პრეზენტაცია.

როგორც ჭარმაგი ადამიანების გადმოცემიდან ვგებულობთ, ამ უბანს ბოგირი დაერქვა იმიტომ, რომ ის დაკავშირებული იყო ყვარლის დანრჩენ ნაწილთან ბოგირით, ბრტყელი ქვეებისგან

გაგრძელება მე-6 გვ.-ზე

...წარმატებით განხორციელებული პროექტები, სამომავლო პერსპექტივები, რის შესახებაც ინტერვიუში აღვნიშნე, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი ბევრად უკეთესი იქნება ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ხშირად უქმნიდა პრობლემას, რომელიც პროექტის განხორციელებით მოგვარდება აღნიშნული პრობლემა. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 180 ათას ლარს.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, დასრულდა სოფელ გრემის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 78 000 ლარს;

2015 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დაფინანსების წყაროებიდან დარჩენილი ეკონომიის საშუალებით ფინანსდება ქ. ყვარელში, ბესიკის ქუჩაზე არსებული კორპუსების შიდა ეზოების მოასფალტების სამუშაოები. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 234 830 ლარს შეადგენს. ამ დროისათვის ჩატარებულია ტენდერი, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები;

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქ. ყვარელში მიმდინარეობს „ახალგაზრდობის სკვერის“ რეაბილიტაცია. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 80 907 ლარს.

– როგორ მიმდინარეობს ქ. ყვარლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, ქ. ყვარელში 54 მილიონი ლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ჭაბურღილებისა და რეზერვუარების რეაბილიტაცია-მშენებლობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების განახლებული ქსელის მოწყობა. ასევე, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობას გულისხმობს.

სამწუხაროდ, მოსახლეობას პროექტის მიმდინარეობის პროცესში ექმნება დისკომფორტი, რაც გამოწვეულია საავტომობილო გზების გადათხრით, მოძრაობის შეფერხებით. თუმცა, თუ კომპლექსურად არ შესრულდა სამუშაოები, სათანადო შედეგს ვერ მივიღებთ. პროექტის დასრულება 2024 წლის ბოლომდე იგეგმება, რის შემდეგაც ქ. ყვარლის მთელი მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 54 მილიონ ლარს, ხოლო სამუშაოების მიმდინარე შესრულების მაჩვენებელია 48 პროცენტი.

– ქალაქის რომელ ქუჩებზეა დაგეგმილი შავი საფარის მოწყობა წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის შემდეგ?

– წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის შემდეგ, პირველ ეტაპზე, დაგეგმილია ძირითადი ქუჩების – ჭავჭავაძის, მარჯანიშვილის, გურამიშვილისა და გოგებაშვილის – მოასფალტება. რაც შეეხება დანარჩენ ქუჩებს, მათი რეაბილიტაცია ეტაპობრივად განხორციელდება.

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელი პრობლემები გადაიჭრა და კიდევ რა რჩება მოსაგვარებელი?

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მნიშვნელოვანია, რაც გამოიხატება სოფლადმცხოვრები მოსახლეობის აქტიურ ჩართულობაში, რათა თავად განსაზღვრონ ის პრიორიტეტები, რომელიც სოფლისთვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოს მთავრობის მიერ თანხის გამოყოფა ხდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ხშირ შემთხვევაში, გამოყოფილი თანხა მცირეა და მოსახლეობის საჭიროებებს სრულად ვერ აკმაყოფილებს, თუმცა საერთო ინტერესს ემსახურება. გასულ წელთან შედარებით, წელს, როგორც ჩვენი საუბრის დასაწყისშიც აღვნიშნე, გაზრდილმა ბიუჯეტმა შესაძლებლობა მოგვცა და გუნდთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება 200 პროცენტით გაზრდილიყო, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განსაზღვრული პრიორიტეტების სრულყოფილად განხორციელებას. საქართველოს მთავრობის მიერ, 2023 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილია 326 000 ლარი და ჩვენი თანადაფინანსებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 652 000 ლარი, რამაც ჯამურად, თითქმის 1 000 000 ლარს მიაღწია.

სულ, მიმდინარე წელს განხორციელდება 25 პროექტი. ამ ეტაპზე დასრულებულია სოფელ საბუის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება. მოეწყო 397 გრძ. მეტრი ასფალტის საფარი. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ 59 996,55 ლარი შეადგინა; ასევე, დასრულდა სოფელ შაქრიანში გარე განათების მოწყობა და სოფელ ახალსოფელში გარე განათების მოწესრიგება. დანარჩენ 22 პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი.

– ქალაქ ყვარელში, კულტურისა და დასვენების პარკებში ინფრასტრუქტურის დაზიანების ვანდალურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად რა ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი?

– ქ. ყვარელში, კულტურისა და დასვენების პარკებში, რამდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა ვანდალურ შემთხვევას. მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, ქალაქში მდებარე სკვერებში დაგეგმილია ვიდეო-სათვალთვალო კამერების დამონტაჟება.

– უკანასკნელ თვეებში მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცხოვრება ბევრად გააქტიურდა. სიახლეებიც ბევრია, რას გვეტყვით ამის შესახებ?

– 2022-2023 წლები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ყვარლელი სპორტსმენებისათვის როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ქვეყნის შიგნით გამართულ შეჯიბრებებზე.

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა ზურაბ იაკობიშვილი;

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა რობერტ დინგაშვილმა;

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა დავით ხარაზიშვილმა;

ძიუდოში (ვეტერანები) საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ნუგზარ კოჭლამაზაშვილი, გიორგი სირაძე და ვანო გიგილაშვილი;

ევროპის ჩემპიონატზე ვეტერანმა ძიუდოისტებმა მიაღწიეს წარმატებას: ანზორ შეღვიაშვილი – II – ადგილი; ნუგზარ კოჭლამაზაშვილი – III ადგილი, გიორგი სირაძე – III ადგილი, ვანო გიგილაშვილი – III ადგილი;

კიკბოქსინგის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა გიგი ხეჩიაშვილმა;

ხელბურთელ გოგონათა ნაკრები საქართველოს ჩემპიონი გახდა;

მათ, ასევე, ქვიშის ხელბურთშიც მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული;

მხოლოდ ჭიდაობის სახეობებში, ჩვენმა სპორტსმენებმა 2022 წელს მოიპოვეს სხვადასხვა სინჯის 24 მედალი, 2023 წელს კი – 15.

– ბოლო წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტი საინტერესო და მიმზიდველ ადგილად იქცა ტურისტებისათვის. ამაზე მეტყველებს აუარებელი ვიზიტორის შემოსვლა და ტურიზმის სფეროს განვითარება. გარდა იმისა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი გამორჩეულია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, ამას დაემატა ღვინის ტურების განვითარება, რაზეც დიდი მოთხოვნა და ინტერესი არსებობს, განსაკუთრებით უცხოელი ვიზიტორების მხრიდან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროდ იქცა ეს ფაქტორი. აშენდა საკმაოდ ბევრი საოჯახო სასტუმრო და ღვინის მარანი, რომელთაც ვიზიტორები არ აკლიათ. თქვენი ჩართულობა ამ სფეროში რას ითვალისწინებს და რა კეთდება ამ მიმართულებით?

– როგორც თქვენ აღნიშნეთ, ტურიზმი საკმაოდ დინამიურად ვითარდება ყვარლის მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებული ზრდა ტრადიციულად კვლავაც ღვინის ტურიზმის მიმართულებით შეინიშნება, თუმცა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა კულტურულ-ისტორიული, ეკოტურიზმი და ა.შ. არანაკლებ დაინტერესებას იწვევს ვიზიტორებში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წლის განმავლობაში ორი მასშტაბური პროექტი განახორციელა, რამაც ერთიორად შეცვალა და პოზიტიურად იმოქმედა ყვარელში ტურიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე. კერძოდ, ევროკავშირის მიერ ინიცირებული პროგრამის „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“ ფარგლებში მუნიციპალიტეტმა კონკურსის საფუძველზე შეძლო დაახლოებით 3.5 მლნ. ლარის დაფინანსების მოპოვება, რომლითაც ორი უმნიშვნელოვანესი ტურისტული პროექტი განხორციელდა. ესენია:

„ილიას გორის“ რეკრეაციული არეალის განახლება;

უნიკალური ტურისტული პროდუქტის – ზინობიანის ეთნოსოფლის კონცეფციის განვითარება, რაც ითვალისწინებდა სოფლის შიდა გზების მოასფალტებას, სკვერისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის მოწყობას.

მიმდინარე წელს განხორციელდა ასევე „ილიას ტბის“ პარკისა და მის მიმდებარედ არსებული ამფითეატრის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს გეგმავს „9 აპრილის სკვერის“ სრულ რეაბილიტაციას და ასევე, სკვერში ტურისტული პროდუქციის გასაყიდი და საგამოფენო სივრცის აშენებას, სადაც განთავსდება ადგილზე წარმოებული სუვენირები, ნახატები, თექა, ტრადიციული ტკბილეული და სხვა.

პროექტის განხორციელების შედეგად, შეიქმნება ახალი მოცემულობა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაბამისი უნარები, რომ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობა წარმართონ ტურისტებზე გათვლილი სასუვენირე ინდუსტრიის აწყობისკენ. კერძოდ, შეიქმნება ლოკაცია, სადაც გასაყიდად გამოიფინება ადგილზე შექმნილი ტურისტებისთვის საინტერესო სხვადასხვა პროდუქტი. სუვენირების გასაყიდი სივრცე საშუალებას მისცემს ადგილობრივ მცირე მეწარმეებს, რომ მათ შეძლონ პროდუქციის რეალიზება, იყვნენ დასაქმებულები და მოახდინონ საკუთარი

პროდუქციის კვლავწარმოება და შემოსავლების გენერირება.

– ბატონო გივი, შეუძლებელია, ჩვენ საუბარში გვერდი ავუაროთ სოციალურ სფეროს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, კონკრეტულად რა გაკეთდა და რა იგეგმება უახლოეს პერიოდში ამ მიმართულებით?

– ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი 2022-2023 წლებში შემდეგი სახის პროგრამებს ახორციელებს და დახმარებას უწევს შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებს:

2022 წელი:

1. მრავალშვილიანი და ახალშობილ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა:

მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მრავალშვილიან ოჯახებზე (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან სამი მაინც არასრულწლოვანი) – სადღესასწაულო დღეებში წელიწადში სამჯერ ფულადი საჩუქარის გაცემას. დახმარებას იღებს 115 მრავალშვილიანი ოჯახი. სულ გახარჯულია – 26 300 ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემა: პირველ ბავშვზე – 200 ლარი, მეორე ბავშვზე – 250 ლარი, ტყუპის დაბადების შემთხვევაში – 450 ლარი. დახმარება მიიღო 146 ოჯახმა, გახარჯულია – 25 000 ლარი.

3. სარიტუალო მომსახურების დაფინანსების პროგრამა:

სარიტუალო დახმარების პროგრამიდან ფინანსური დახმარება განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 49 ოჯახს. სულ მიმდინარე წელს გახარჯულია 9800 ლარი.

4. დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დახმარების პროგრამა:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, მარტოხელა მშობლების, შშმ პირთა უსახლკარო ოჯახების დახმარება. მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება 16 უსახლკარო ოჯახს. გახარჯულია 1 580 ლარი.

5. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შესაძენი თანხით დახმარების პრგრამა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000, კვების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე განისაზღვრება ყოველთვიურად, არაუმეტეს 120 ლარისა.

დავეხმარეთ 6 ოჯახს. გახარჯულია 922 ლარი.

6. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალებების დაფინანსების პროგრამიდან დაფინანსების მიღება შეუძლია ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს, (მარტოხელა პენსიონერი, მარტოხელა დედა, მრავალშვილიანი ოჯახი, ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ პირი), რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 120 000-ს, თითოეულს 150 ლარის ოდენობით. დახმრება გაეწია 26 ბენეფიციარს, გაიხარჯა 3 120 ლარი.

7. სოციალურად დაუცველი მოსახლეობიდან, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს, ერთჯერადი ფულადი დამარება გაეწია 468 ბენეფიციარს. გახარჯულია 48 800 ლარი.

8. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიცა ფულადი საჩუქარი 300 ლარის ოდენობით.

9. სასწრაფო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავს როგორც კვლევების, ასევე ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებას. დახმარება გაეწია 565 პაციენტს. გაიხარჯა 19 407 ლარი.

10. ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მომსახურებიდან დახმარება გაეწია 190 პაციენტს, გაიხარჯა 109 036 ლარი.

11. მკურნალობისათვის საჭირო თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მერიამ გამოუყო 989 მოქალაქეს. გაიხარჯა 147 050 ლარი.

12. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამაში. ტრანსპორტირების თანხა განისაზღვრა ყოველთვიური 150 ლარის ოდენობით. პროგრამაში ჩართულია 25 პაციენტი, გახარჯულია – 3 600 ლარი.

13. ეპილეფსიითა და ცერებრალური დამბლით დაავადებული პაციენტების დახმარების პროგრამა:

მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული დიაგნოზით პაციენტებს წელიწადში ოთხჯერ ეხმარება 100 ლარით. 92 პაციენტზე გახარჯულია 37 600 ლარი.

14. იშვიათი თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის მქონე ბავშვებს ასევე წე-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

ლიწადში ოთხჯერ ვეხმარებით, ასეთი 6 ბავშვია და გახარჯულია 4 800 ლარი.

15.18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხებისა და აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციაა-აბილიტაციის პროგრამით მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება 22 პაციენტს, გახარჯულია 14 085 ლარი.

2023 წელი (აგვისტოს ჩათვლით):

მრავალშვილიანი და ახალშობილ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამით ფულადი საჩუქრები მიიღო 116 მრავალშვილიანმა ოჯახმა. სულ გახარჯულია 26 300ლარი.

ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება მიიღო 124 ოჯახმა, გახარჯულია 33 950 ლარი.

სარიტუალო მომსახურების დაფინანსების პროგრამით დახმარება გაეწია 49 ოჯახს. სულ მიმდინარე წელს გახარჯულია 14 050 ლარი, მათ შორის დაღუპულ მებრძოლთა რიტუალური ხარჯია 2700 ლარი, რომელიც გაიცა 6 ოჯახზე.

დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დახმარების პროგრამით

მუნიციპალიტეტის მერია ამ ეტაპზე ეხმარება 20 უსახლკარო ოჯახს. გახარჯულია – 16 550 ლარი.

სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს (0-დან 1,5 წლამდე) ბავშვების მოვლისთვის საჭირო საგნების და საკვების შესაძენი თანხით დახმარება გაეწია 27ოჯახს. გახარჯულია – 4 000 ლარი.

ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალებების დაფინანსების პროგრამით დახმარება გაეწია 195 ბენეფიციარს, გაიხარჯა 29 700 ლარი.

სასწრაფო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამით, რომელიც მოიცავს როგორც კვლევების, ასევე ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებას, დახმარება გაეწია 680 პაციენტს. გაიხარჯა – 213 232 ლარი.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების დახმარებაზე გაიხარჯა – 105 578 ლარი.

მკურნალობისათვის საჭირო თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მერიამ გამოუყო 945 მოქალაქეს. გაიხარჯა 145 675 ლარი.

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირებაზე გახარჯულია 35 150 ლარი.

ეპილეფსიითა და ცერებრალური დამბლით დაავადებული პაციენტების დახმარების პროგრამით 100 პაციენტზე გახარჯულია 30 000 ლარი.

– ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური წინსვლისთვის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აგრარული სექტორის განვითარება და ხელშეწყობაა. ამასთან დაკავშირებით, ბევრი ახალი პროექტი განხორციელდა, როგორც სახელმწიფოს, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან. რა შეიცვალა ამ სექტორში სასიკეთოდ და რა მდგომარეობაა ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით?

– საქართველოს მთავრობა, აგრარული დარგის განვითარების მიზნით, მასშტაბურ პროექტებს ახორციელებს, რომლებიც უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენტუნარიანობის ზრდას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

მთავრობის მიერ განხორციელებულმა ასეთმა პოლიტიკამ, უდავოდ, დადებითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რაც მკვეთრად გამოჩნდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

სოფლის მეურნეობის აღორძინების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებამ ხელი შეუწყო სოფლად შემოსავლების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც საქართველოს მთავრობის ბრძნელ პოლიტიკაზე მეტყველებს.

– ინტერვიუს დასასრულს, რას პირდებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მომავალი წლები უკეთესი თუ იქნება?

– უკანასკნელ წლებში მზარდი ეკონომიკური წინსვლით გამოირჩევა ჩვენი ქვეყანა და ეს ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტსაც, რომლის ბიუჯეტიც ყოველწლიურად იზრდება.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების მოცულობის ზრდა შესაძლებლობას გვაძლევს გავზარდოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც.

ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა კი საშუალებას გვაძლევს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები დადებითად გადავწყვიტოთ, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობა, წარმატებით განხორციელებული პროექტები, სამომავლო პერსპექტივები, რის შესახებაც ინტერვიუში აღვნიშნე, მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი ბევრად უკეთესი იქნება ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

– ულრმესი მადლობა ბატონო გივი საინტერესო ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ თქვენს მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი



ფერისცვალება უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ლმსახური, მღვდელი მამა გიორგი (გაფრინდაშვილი).

– ფერისცვალება ერთ-ერთია 12 უდიდეს დღესასწაულს შორის. ეს დღე განსაკუთრებულია ყოველი მართლმადიდებლისათვის. ყველამ ვიცით, რომ ამ დროს იესო ქრისტემ ფერი იცვალა და ეს ფერისცვალება თავის თავში ძალიან დიდ მისტიურ საიდუმლოებას მოიცავს.

მინდა, მივულოცო ყველას ეს დიდი დღესასწაული – ფერისცვალება. როგორც ვიცით, უფლის დედამიწაზე მოსვლა ემსახურება კაცობრიობის გადარჩენას. ეს კონკრეტული მოვლენა კი, ადამიანის სულიერ განვითარებას. იმიტომ იცვალა უფალმა ფერი, რომ ადამიანებში აღიძრას სულიერი განვითარებისა და ფერიცვალების სურვილი. ჩვენ, ადამიანები ვართ ცოდვისა და უამრავი მანკიერების მატარებლები, მაგრამ არ უნდა დავრჩეთ ამ მდგომარეობაში. იესო ქრისტე ამ დღესასწაულით მოგვიწოდებს, რომ უარვყოთ ჩვენში არსებული მანკიერება და მოვახდინოთ სულის განსპეტაკება, განწმენდა. ეს იქნება ჩვენი პიროვნების ფერისცვალება.

ფერისცვალება უფლისა ერთგვარად არის სახე მეორედ მოსვლის. ჩვენ ვიცით პირველად როგორ უბრალოდ მოვიდა უფალი – საქონლის ბაგაში იშვა. მეორედ მოსვლა კი იქნება დიდებით და ნათლით გაბრწყინვებული, როგორც ფერისცვალებისას იყო იგი განსპეტაკებული.

მოციქულები, რომლებიც ამის ხილვის ღირსნი გახდნენ, ფაქტიურად გაოგნებულები იყვნენ და მათი გულები მხოლოდ იმის ფიქრით იყო განმსჭვალული, რომ ასეთი მარადიული ნეტარებით გამოწვეული სიხარული განიცადეს და უფლის ბრწყინვალების ღირსნი შეიქმნენ.

დიონისე არეოპაგელი ამის შესახებ წერდა, რომ ეს იყო წამიერი სამოთხე მოციქულებისათვის წუთისოფელში და მათ სურდათ, ამ მარადიული, ნეტარი სიხარულის განცდა არ დაეკარგათ. აღარ უნდოდათ, მიწიერ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ეს ენით აღუწერელი სიხარულის განცდაა და ასკეტი მამები, რომლებიც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ და უფლის მარადიულობას ჭვრეტენ, სწორედ ამ დიდი სიხარულისთვის ემზადებიან.

ყოველი მართლმადიდებლის მოწოდება ამ წუთისოფელში უნდა იყოს ის, რომ მოიხვეჭოს სულიწმიდის მადლი, რათა ცხონდეს და ცდილობდეს, უფალთან იმ თანაზიარ სიხარულში შევიდეს, რომლითაც დღევანდელ დღეს აღვსილნი იყვნენ მოციქულები.

ფერისცვალების ნათელი ხატებზე, წმიდანთა თავზე დამდგარი შარავანდედის სახით გამოისახება. იგია ძვირფასი გვირგვინი.პეტრეს სიტყვები: „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ“ გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მაგრამ ეს ასე არ ხდება. რადგან სასუფეველის დასამკვიდრებლად საჭიროა ცხოვრებისეული თავგანწირვა, რომლითაც უფალი სულიერ ბრძოლაში გამარჯვებულთ აჯილდოებს.

ამიტომ, ყოველი ადამიანი მოწოდებული უნდა იყოს, სულიწმიდის მადლი მოიხვეჭოს, რათა ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს.

ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ, ამ დღესასწაულს, რომელიც ყოველთვის მარხვის პერიოდში აღინიშნება, მომზადებული შევხვდეთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ გავაცნობიეროთ ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი სულიერი მდგომარეობა და თუ აქამდე ვერ მოვახდინეთ რაიმე მანკიერების (ცოდვის) გამოსწორება, ამიერიდან მაინც შეგვაძლებინოს უფალმა.

თაბორის მთაზე, როდესაც მოციქულებმა ნათელი იხილეს, ზეციდან გაისმა ხმა:“ ესე არს ძე ჩემი, მაგისი ისმინეთ“. ეს იყო მამა ღმერთის ხმა მიმართული ძე ღმერთისადმი....და ძე ღმერთი იესო ქრისტე ამბობს:“ მობაძავ ჩემდა იყვენით“. ე. ი. თუ ჩვენ უფალს მივბაძავთ და მისი მცნებებით ვიცხოვრებთ, ამით აუცილებლად მოხდება ჩვენში ფერისცვალება და ეს იქნება დასაბამი ჩვენი სულის ცხონებისა.

ამინ!

ესაუბრა ია გიგიაშვილი

ილია ჭავჭავაძე – ქართული ფენომენი

2 აგვისტო წმინდა ილია მართლის ხსენების დღეა

ილია ჭავჭავაძე უდიდესი მოვლენაა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ილიას სახით თანამედროვეობის წინაშე დგას ის ადამიანი, რომელზეც ასე ხატოვნად ბრძანა ქართული ლექსის დიდოსტატმა ტიციან ტაბიძემ:

„გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდეც დაჰკირა... ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი იყო ილია ჭავჭავაძე...

ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული“...

ილია – ყვარლის მადლიან მიწაზე „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“, რომელიც ღმერთთან იმიტომ ლაპარაკობდა, რომ წასძღოლოდა „წინა ერსა“.

ილია – ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ვინ იცის, რამდენჯერ გამხდარა ჩვენი თანამოაზრე, ახალი წამოწყებების სულის ჩამდგმელი, ამდენი ხნის შემდეგაც მას ვბაძავთ მამულიშვილობაში, მოქალაქეობაში, კაცობაში; გვანცვიფრებს მისი ულევი ენერგია, მრავალმხრივი ცოდნა, რომელიც უკლებლივ ქართველ ხალხსა და სამშობლოს მოახმარა.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“ – ბრძანა ერის მამამ. ილიას მარად სჯეროდა საქართველოს უკვდავება. სამშობლო მისთვის მამაც იყო, დედაც და შვილიც, რომელსაც ასე ეფერება: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „მამულო საყვარელო“, „ჩემო თვალის სინათლევ“, „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“... იმიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე სიტყვები „ილია და საქართველო“ სინონიმებად იქცა. ამიტომაა, რომ ქართველი კაცის გრძნობა–გონება ვერ შეგუებია ილიას გადასვლას სიცოცხლიდან მარადისობაში. დიდი ილიას ცხოვრება არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრება. მისი სიცოცხლე იყო „გოლგოთა“, ხოლო სიკვდილი „ჯვარცმა“.

2 აგვისტო წმინდა ილია მართლის ხსენების დღეა. ილიას აპოთეოზი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება: „ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი“.

ილიამ ბევრი რამ შეცვალა აწმყოსა და მომავალში ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ. შეცვალა თავისი სიცოცხლით და შეცვალა თავისი სიკვდილითაც...

ამბობენ, თითქოს ილია მკვლელებს იარაღით ხელში შეეგება... შეიძლება... მაგრამ ისიც შესაძლებელია, მშვიდად ჩაეხედა მათთვის თვალებში და ეთქვა: „ილია ვარ“... ილია ჭავჭაავაძემ სატანის მოციქულებს – თავის მკვლელებს დიდი ხნის წინ, სიცოცხლეშივე შეუნდო „ლოცვაში:“

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა
შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი
ვდგავარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არც დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე
ლოცვა წმინდა...



არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ
თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან,
ღმერთო, რას იქმან!“

დაბოლოს, ჩემს მცირე ნაჯახირევს წმინდა ილია მართლის სიტყვებით დავამთავრებ:

„წუთის– სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია
– სიყვარულს უშენებია“.

სიყვარული გადაგვარჩენს! ჩვენთან არს ღმერთი!

ოთარ დავითაშვილი
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეხვედრა გაიმართა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში 2023 წლის რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად კონკრეტული ნაბიჯები დაიგეგმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, აუცილებელია, რომ მევენახეებმა მოსავლის რეალიზაცია კარგ ფასად შეძლონ და კიდევ უფრო გაძლიერდეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ბოლო წლების სტაბილური განვითარების დინამიკა.

შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რთველის სუბსიდირება 2023 წელსაც გაგრძელდება, სახელმწიფო ყურძენს 20 თეთრით დაასუბსიდირებს და 1 კგ თეთრი ყურძნის ფასი მინიმუმ 90 თეთრი იქნება.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ იზრდება ღვინის ექსპორტი, შარშან 30%-მდე ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა და წელსაც, 6 თვეში ძალიან მაღალი ზრდა გვაქვს ამ მიმართულებით. გასულ წელს მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის – 103 მილიონი ლიტრი, 252 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო. მინისტრის თქმით, ღვინის ექსპორტთან ერთად იზრდება მოთხოვნა ხარისხიან ყურძენზეც.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ კლიმატური პირობების გამო, მოსალოდნელია, რომ წელს ყურძნის მოსავლის ნაწილი არასათანადო ხარისხის იყოს. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპანიები დაზიანებულ ყურძენსაც მიიღებენ და ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მეხუზლა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი ესწრებოდნენ.

საქართველოს მთავრობა

დიდება და მადლობა უფალს იმისათვის, რომ მოგვცა შესაძლებლობა გვენახა და გვეცხოვრა მსოფლიოს საუკეთესო ქრისტიანულ წმინდა ადგილზე...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ნახევარკუნძული 80 კილომეტრის სიგრძის და 12 კილომეტრის სიგანის მიწის ზოლია და მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტთან დაკავშირებულია, მასზე გადასვლა მხოლოდ ნავით შეიძლება. ნაპირზე გადასვლა მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ და თანაც მხოლოდ მათ, ვინც ოთხი მთავარი მონასტრის სამდივნოს ბეჭედდარტყმულ ვიზას მოიპოვებს. იმ იღბლიან პოლიგრიმებსა და სტუმრებს, რომლებსაც ნახევარკუნძულზე მოხვედრა ეღირსებათ, ათონის მთაზე სრული სიმშვიდე და შუა საუკუნეების ისტორიული შენობები დახვდებათ.

ვერ წარმოგვიდგენია ქრისტიანი ადამიანი, რომელიც არ ოცნებობს წმინდა ადგილების მონახულებას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ოცნება ერთეულებს უსრულდებათ და მათ შორის არიან ყვარლის მკვიდრნი, ჩვენთვის ცნობილი პიროვნებები ***გია პაპუაშვილი*** *და* ***ილია ჯაფოშვილი****, რომლებიც უმდიდრესი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ათონის მთიდან სამშობლოში. ამიტომაც შევეხმიანე და ვთხოვეთ ბატონ ილიას გამოენახა დრო ინტერვიუს ჩასაწერად.*

– ბატონო ილია, რა მიზნით გაემგზავრეთ მსოფლიოს მართლმადიდებლურ ცენტრში – ათონის წმინდა მთაზე?

– მე, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, ოცნებად მქონდა მსოფლიოში მართლმადიდებლური განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წმინდა ადგილების მოლოცვის, მათ შორის უპირველესად წმინდა ათონის მთის და მადლობა უფალს, რომ ოცნება ამისრულა და მოვინახულე ათონის წმინდა მთა და ვეზიარე იქაურ ცხოვრებას.



– სამონასტრო კომპლექსების გარდა დასახლებული პუნქტები თუ არსებობს, უმაღლეს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოს ვინ წარმოადგენს?

– მონასტრების გარდა დასახლებული პუნქტია – კარიესი, რომელიც ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. აქ არის განთავსებული მმართველი ორგანო (პარლამენტის მსგავსი), რომელშიც შედის ყოველი მონასტრიდან თითო ნდობით აღჭურვილი პირი და განიხილავენ საჭირბოროტო საკითხებს. პირველ რიგში 2 წლით საკანონმდებლო ორგანოს წმინდა კინოტს ირჩევს, სადაც 2 წლით პროტს – შინაგან საქმეთა გამგებელს გამოარჩევს, სწორედ მასთან ფორმდება აღმასრულებელი ხელისუფლება – პროტატი.

სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო ველთვიურად უწევთ. ამასთან, დროის ათვლა მონასტრებში განსხვავებულია, რადგან ზოგი ზღვის ნაპირსაა, ზოგი კი მთებში და მზის ჩასვლას სხვადასხვა დროს აფიქსირებენ.

ღვთისმსახურების შესრულების წესიც თითქმის შუა საუკუნეთა ბიზანტიის ქრისტიანული პერიოდის იდენტურია. ტაძრები მხოლოდ სანთლებით და კანდელებით ნათდება და მსახურების გარკვეული ნაწილი სრულ სიბნელეში მიმდინარეობს.

– ათონის ივერთა მონასტერი თუ მოინახულეთ და როგორ მდგომარეობაშია ახლა?

– ათონის მოლოცვის უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, ივერთა მონასტრის მონახულება იყო. ათონზე არსებობს იერარქია და 20 მონასტერს შორის ახლა ივერიონი მესამეა იერარქიით, თუმცა ნხილვა კი უკვე საბერძნეთის სასამართლოს პრეროგატივაა. ამ უკანასკნელს ათონზე გუბერნატორი წარმოადგენს, რომელსაც პოლიცია და ფოსტა ემორჩილება. მთაწმინდის მონასტრებიდან უძველესს – ათანასე ლავრას, ივერონს, ვათოპედს და ხილანდარს გამორჩეული უფლებები აქვთ და მათი არჩევანი გადამწყვეტია.

20 დამოუკიდებელი მონასტერი არსებობს ათონზე: 17 ბერძნული, 1 სერბული, 1 ბულგარული, 1 რუსული თავისი სკელიებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენს უფრო მკაცრი წესებით მოღვაწე ბერების ერთობას. არსებობს 12 ასეთი ოფიციალური სკიტე სენაკი განდეგილი ბერებისთვის და ბევრი ახალმშენებარე სკიტებიც შეიმჩნევა.

მეორე დასახლებული ქალაქია ნავსადგური – დაფნი ათონის სამონასტრო რესპუბლიკის, საიდანაც ფეხით ან სახმელეთო ტრანსპორტით შეიძლება მონასტრების მოლოცვა.

– როგორი სულიერებისა და სიწმინდის ადამიანები ცხოვრეობენ წმინდა მთაზე?

– განსაკუთრებული სულიერება და სიწმინდეებია ათონის მონასტრებში. შენარჩუნებულია ტრადიციები ზედმიწევნით და ყველა მონასტერში სიწმინდეების საცავებია, რომლის მოლოცვის უფლებას ყოველი წირვის შემდეგ გვაძლევდნენ მლოცველებს.

– დროის ათვლა როგორ ხდება ათონის მთაზე?

– ქრონოსის ათვლა მთაწმინდაზე უძველეს ბიზანტიურ წესს ეფუძნება. შუაღამედ დაისია მიჩნეული და სწორედ აქედან იწყებენ დღე-ღამის ათვლას, რადგან ყოველთვე მზე სხვადასხვა დროს ჩადის, აქაურებს საათის გადაწევა ყოველთვიურად უწევთ. ამასთან, დროის ათვლა მონასტრებში განსხვავებულია, რადგან ზოგი ზღვის ნაპირსაა, ზოგი კი მთებში და მზის ჩასვლას სხვადასხვა დროს აფიქსირებენ.

ღვთისმსახურების შესრულების წესიც თითქმის შუა საუკუნეთა ბიზანტიის ქრისტიანული პერიოდის იდენტურია. ტაძრები მხოლოდ სანთლებით და კანდელებით ნათდება და მსახურების გარკვეული ნაწილი სრულ სიბნელეში მიმდინარეობს.

– ათონის ივერთა მონასტერი თუ მოინახულეთ და როგორ მდგომარეობაშია ახლა?

– ათონის მოლოცვის უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, ივერთა მონასტრის მონახულება იყო. ათონზე არსებობს იერარქია და 20 მონასტერს შორის ახლა ივერიონი მესამეა იერარქიით, თუმცა ისტორიულად მეორე იყო ყოველთვის.

XIX საუკუნის დამდეგიდან, ქართველთა მდგომარეობა ათონზე, მას შემდეგ, რაც მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი, ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროვეს. ამ დროს რუსეთი უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ქართველებს, მაგრამ მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ყურადღება ჩამოაშორებინა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძნებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთ მონასტერში.

ძალიან დიდ ემოციას განიცდის ადამიანი ივერიონში შესვლისას. პირადად მე, თითქოს საქართველოს მონასტერში ვიყავი, ასეთი შეგრძნება დამეუფლა. ივერიის ღვთისმშობლის ძალის განსაკუთრებული მონატერი ახლა ბერძნებს ეკუთვნის და ქართველებს დიდი ზარზეიმით არ ხვდებიან.

ივერიონში, როგორც ათონის ხვა მონასტრებში, წინასწარ უკავშირდები, რომ იმ დღისით მომლოცველების რიცხვმა არ გადააჭარბოს სასტუმრო ნაწილში ადგილების რაოდენობას. ერთი დღით, რომელშიც შედის ტრაპეზი და ღამისთევა, ნებისმიერ მომლოცველს იღებენ.

საღამოს თვრამეტი საათიდან ერთი საათი ეთმობა ლოცვას, დილით ხუთის ნახევრიდან ცხრა საათამდე კი ტარდება წირვა.

999 წელს ათონის მთასთან ზღვით მისცურა ივერიისად წოდებულმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატმა, რომელზეც ზეციდან ცეცხლოვანი სვეტი იყო დაშვებული. ყოვლადწმინდამ წმინდა გაბრიელი ქართველის ხელით ინება ნაპირზე გამობრძნება და იმ დღიდან ივერთა მონასტერიცა და მთლიანად ათონის წმინდა მთაც ამ საკვირველმოქმედი ხატის მფარველობის ქვეშ მოექცა, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვედრი.

წმინდა ნილოს მირომდინარის წინასწარმეტყველებით როდესაც ივერიის წმინდა ხატი ათონის ნახევარკუნძულს დატოვებს, ბერებმაც სასწრაფოდ უნდა დატოვონ თვიანთი სავანეები და წავიდნენ სადაც სურთ, ოღონდ აღქმა მონაზნობის წმინდანად შეინახონ, რამეთუ მას შემდეგ, რაც ხატი ამ ადგილს დატოვებს დამანგრეველი მიწისძვრებით, ათონი ზღვაში შთაინთქმება. ეს იქნება მარიამ ღვთისმშობლის გაფრთხილება, რომ ანტიქრისტე უკვე გამეფდაო ქვეყანაზე.

ათონური წინასწარმეტყველების თანახმად, მას შემდეგ, რაც ხატი ათონს დატოვებს, ივერიაში (სქართველოში) დაივანებს და სწორედ ამ ხატის საქართველოში მობრძანებასთანაა დაკავშირებული ივერიის გაბრწყინებაც.

– მართალია, რომ ათონის მთაზე ქალები არ იმყოფებიან?

– ათონის მთაზე ერთი კვირა დავყავით სხვადასხვა მონასტერში და რა თქმა უნდა, ქალები არსად გვინახავს.

მკაცრად არის აკრძალული „ნებისმიერი მდედრი არსების“ დაშვება, რათა ბერები არ აცდუნონ. ეს ბრძანებულება შინაურ ხერხემლიან ცხოველებსაც ეხება, მხოლოდ ორი გამონაკლისით: კატები მღრღნელების საკონტროლებლად და ქათმები კვერცხების საწარმოებლად, რათა დამზადდეს კვერცხის ტემპრა, რომელიც საშუალებაა ხატწერისთვის და აგრეთვე გამოიყენება საკვებად.

– კიდევ არის მოსაგრეთა უკვალოდ დაკარგვის ფაქტები და რითი ხსნიან ამ მოვლენას?

– ათონის ნახევარკუნძულზე უამრავი განდეგილი და მკაცრი ცხოვრების წესით გამორჩეული ბერი ცხოვრობს მონასტრებს მიღმა. ბევრი ლეგენდა უკავშირდება ათონს, მათ შორის უკვალოდ დაკარგვის ისტორიებს, თუმცა არც ერთმა იქაურმა ბერმა არ ისურვა მასზე ლაპარაკი.

როგორც ამბობენ, ათონის მთაზე ძირითადად გამორჩეული ბერები იკარგებოდნენ. ბერების ამ გაქრობას ათონის მთის სხვა დიდ საიდუმლოსაც უკავშირებენ – ეგრეთწოდებულ „უხილავ მოსაგრეებს“. წმინდა მთაზე ასეთი თქმულებაც არსებობს: როდესაც ვინმე იკარგება, ამბობენ, ის „უხილავმა მოსაგრეებმა“ წაიყვანესო.

– რას გვეტყვით ერთადერთ ქართველ ბერზე, რომელიც პანტელეიმონის მონასტერში მოღვაწეობს, ხომ არ ინახულეთ?

– სხვათაშორის, ძალიან გვინდოდა შევხვედროდით პანტელეიმონში მოღვაწე ბერს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დატოვა ეს მონასტერი და იქვე შორიახლოს დაიდო ერთ პატარა სკიტში ბინა, თუმცა კარებზე დაგვხვდა წერილი, რომ ვერ მიგვიღებდა და აღარ შევაწუხეთ.

– წმინდა მთაზე ყოფნის პერიოდში მონაზვნურ ცხოვრებას თუ ეზიარეთ და როგორ რეჟიმში მოგიწიათ ყოფნა?

– როცა მონასტერში იმყოფები, წირვა-ლოცვას ყოველთვის უნდა დაესწრო და ეზიარო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე, ოთხ საათზე დილით გვიწევდა ადგომა, რომ წირვაზე არ დაგვეგვიანა.

– რატომ უწოდებენ ათონის მთას მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრს?

– ღვთისმშობელი მოციქულებთან ერთად კვიპროსზე მიემგზავრებოდა, უამინდობის გამო გემი ეგეოსის ზღვაში შეიყვანა და ათონის ნაპირთან გაჩერდა. როგორც კი ღვთისმშობლის ხომალდი კუნძულის ნაპირს მიადგა, წარმართული ტაძრები ერთიანად ჩამოიქცა. ყოვლადწმინდამ მოგზაურობის ამგვარ წარმატებაში ღვთის ნება დაინახა. გადავიდა მისთვის უცნობი მიწის ნაპირზე, სადაც სასწაულის მხილველი მოსახლეობა მოწიწებით შეხვდა მას. ყოვლადწმინდამ წარმართებში ღვთის სიტყვა იქადაგა და გააქრისტინა ადგილობრივი მოსახლეობა.მას შემდეგ ათონი, ისევე როგორც ივერია, ღვთისმშობლის მეორე წილხვედრ მიწად ითვლება.

– თქვენი აზრით რაში მდგომარეობს ათონის მთის ჭეშმარიტი მნიშვნელობა?

– უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ შვას სიწმინდის ისეთი მოვლენები, როგორიც იყო სხვა მამებს შორის ნეტარი ბერი სილუანი და სანამ ეს პროცესი გრძელდება, წმინდა მთის არსებობა სრულიად გამართლებული და დიდი მნიშვნელობის მატარებელია მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის სულიერ ცხოვრებაში.

ათონის მონასტრები ნამდვილი საოცრებებია, ისინი წამომართულ ციხესიმაგრეებს გავს კლდეებით გარშემორტყმულს. მორწმუნეთათვის ძალიან მნიშნელოვანია პირვანდელი და ტრადიციული მსახურებანი, რაც VIII საუკუნიდან შეუწყვეტლივ მიმდინარეობს წმინდა მთაზე.

– კმაყოფილი თუ ხართ ათონის მთაზე ყოფნით და ნანახით?

– დიდება და მადლობა უფალს იმისათვის, რომ მოგვცა შესაძლებლობა გვენახა და გვეცხოვრა მსოფლიოს საუკეთესო ქრისტიანულ წმინდა ადგილზე, რაც ყველა ქრისტიანისთვის სანუკვარი ოცნებაა.

– როგორი წარმოდგენა აქვთ საქართველოზე?

– დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ ჩვენს უწმინდესს და უნეტარესს, საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს, როგორც მონასტრის წინამძღვრები, ასევე რიგითი ბერები, როდესაც იგებდნენ, რომ ჩვენ საქართველოდან ვიყავით. თითოეული მათგანი აღნიშნავდა პატრიარქის უდიდეს ღვაწლს ქრისტიანულ რწმენაზე უამრავი ადამიანის მოქცევისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენის საქმეში.

– უღრმესი მადლობა ბატონო ილია საინტერესო ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა

ალექსანდრე გიგილოშვილი

ფრაგმენტები მსოფლიოში უძველესი სამეფო დინასტიის ისტორიიდან

მსოფლიო ისტორიაში მრავალი სამეფო დინასტია არსებობდა და ზოგიერთი ახლაც არსებობს. სხვადასხვაა მათი ზეობის დრო და ხანგრძლივობა. სამეფო გვარებს შორისაც არის გამორჩეული დინასტიები, რომლებიც თავიანთი ხალხის სახეს განსაზღვრავენ. ასეთი გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რომელიც მრავალი საუკუნე ღირსეულად იდგა ღვთისა და ერის სამსახურში.

საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე ბაგრატიონები განსაკუთრებით აქტიურად VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩანან. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართლში დაიწყო დაუცხრომელი ბრძოლა დამოუკიდებელი ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის, რომელიც ირანელებმა გააუქმეს 523 წელს.

ქართლში დაწყებული აჯანყების წინამძღოლი ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი გუარამია და ქართლის პირველ ერისმთავრადაც იგი აირჩიეს. უძველესი საისტორიო წყარო „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი ამას მთელი ქართლის ნებად და გადაწყვეტილებად წარმოგვიდგენს: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“.

ბაგრატიონები წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან, ქართული ისტორიული პროვინციიდან – სპერიდან იყვნენ, სადაც უძველესი დროიდანვე სახლობდნენ ქართული ტომები. ამჟამად ეს პროვინცია თურქეთში მდებარეობს ისპრის სახელწოდებით.

ზოგიერთი ძველი ისტორიული წყარო ბაგრატიონებს ქართლის პირველი მეფეების, ფარნავაზიანთა დინასტიის ჩამომავლებად მიიჩნევს. „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი ვერსიების მიხედვით გუარამ ერისმთავარი (კურაპალატი) დედით ფარნავაზიანია, ხოლო მამით ბაგრატიონი.

ბაგრატიონთა ზეობა საქართველოში ათას წელზე მეტს ითვლის. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან VIII საუკუნის ბოლომდე ისინი ერისმთავრების ტიტულით განაგებდნენ ქვეყანას.

IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ადრეფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბება. ამ სამთავროს საფუძველი ჩაუყარა ქართლის ბოლო ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა (აშოტ დიდი კურაპალატი). ეს პოლიტიკური ერთეული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ტაო-კლარჯეთის სამთავროს ან „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით.

სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ საფეხურზე საქართველოში იქმნება ბაგრატიონთა დინასტიის ღვთიური წარმოშობის თეორია. „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“... – მიმართავს გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს.

ზემო აღნიშნული აზრი ყველაზე თანამიმდევრულად გატარებულია ბაგრატიონთა მემატიანის, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. ბაგრატიონთა განსაკუთრებულ აღზევებას და მათ ღვთიურ წარმომავლობას X საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტიც ადასტურებს.

ბაგრატიონების „ქართველთა კურაპალატობისა და მეფობის“ პერიოდი ორ საუკუნეს გაგრძელდა. ტაო-კლარჯეთის, ანუ „ქართველთა სამეფოს“ ბაგრატიონები ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ – ტაოელ და კლარჯ ბაგრატიონებად. IX საუკუნის დასასრულიდან უკვე სრულიად აშკარად არსებობს ორი სამთავრო, ორი სამეფო სახლი, ტაოსი – ცენტრით ბანას და კლარჯეთისა – ცენტრით არტანუჯში.

როგორც ჩანს, ნომინალურად უფროსობა ტაოს შტოში იყო და ქართველთა მეფობაც მათ დაიმკვიდრეს. ფორმალურად კლარჯეთის სახლი ემორჩილებოდა ტაოს სახლს, მაგრამ ფაქტიურად ის დამოუკიდებლობით სარგებლობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

აშოტ ბაგრატიონის (+826) შემდეგ სამეფო სახლის ორივე შტომ მრავალი ღირსეული მოღვაწე შესძინა ქვეყანას. ამათგან განსაკუთრებით გამორჩეულნი არიან ორნი – ტაოს მეფე დავით III ბაგრატიონი (+1001), რომელსაც მიეკუთვნება ტიტული „დიდი“ და „აღმოსავლეთის კურაპალატი“, ასეთი ტიტული მანამდე არც ერთ ბაგრატიონს არ ჰქონია და ბაგრატ III ბაგრატიონი (975-1014) ტაოს, კლარჯეთის, აფხაზეთის ტახტის მემკვიდრე და შემდგომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, კურაპალატი.

ეს ის ბაგრატ ბაგრატიონია, რომელიც უკვე იწოდება „აფხაზთა და ქართველთა“, ესე იგი დასავლთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანებით X საუკუნის დასასრულს შეიქმნა სახელმწიფო „საქართველო“, რომლის ირგვლივ ხდება შემდგომ დანარჩენი ქართული მიწების თანდათანობითი შემომტკიცება.

XI-XII საუკუნეები უაღრესად გამორჩეული იყო საქართველოს ისტორიაში. ახლად გაერთიანებული საქართველო XI საუკუნის მეორე ნახევარში კატასტროფის პირამდე მივიდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად. განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე მდგომმა თურქ-სელჩუკებმა შედარებით ადვილად დაიპყრეს მათზე მეტად განვითარებული ხალხები და მათ შორის საქართველოც.

მაგრამ აი, გამოჩნდა ყველაზე აღმატებული მეფე მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, დავით IV აღმაშენებელი (1089-1125), მშვენება და დიდება საქართველოსი, რომელმაც გამეფებიდან ოცდაათი წლის შემდგომ წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია საქართველო.

დავით აღმაშენებელმა პოლიტიკური ღონისძიებანი ორი ძირითადი მიმართულებით წარმართა: ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება და თურქ-სელჩუკების განდევნა. ორივე ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა. ერთ მხარეს ხმალი ესვენა, მეორე მხარეს წიგნი. ასე „იწყო აღმოცისკრებად ბნელსა უკუნსა შინა მზემან“ – დავით IV აღმაშენებელმა.

დავით მეფემ დიდგორის ომიც გადაიხადა „ძლევაი საკვირველი“, – ყველაზე სახელოვანი და ძლევამოსილი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. დიდგორის ომში გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. აქ თავი იჩინა დავითის უდიდესმა სამხედრო ნიჭმა და ქართველი ხალხის უშრეტმა ბრძოლისუნარიანობამ, გამარჯვების დიდმა წყურვილმა. დიდგორი ქართველი ხალხის სალოცავ მოვლენად იქცა.

ღვთის ნებით, დავით აღმაშენებელმა ოთხასი წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში მყოფი თბილისიც გაათავისუფლა და საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ეკლესია-მონასტრებითა და კულტურის კერებით დაიფარა თბილისი და სრულიად საქართველო.

დავით აღმაშენებელი თავისი ზეობის მწვერვალზე იდგა.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით თამარის (1184-1213) მეფობისას გაგრძელდა და გაძლიერდა, რომელიც იყო „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუენიერებითა“ სრულქმნილი ქალი გვირგვინოსანი. თამარის დროს კიდევ უფრო გაიზარდა და გაიშალა საქართველოს სახელმწიფო. მის სახელთანაა დაკავშირებული შამქორისა და ბასიანის ომებში მოპოვებული დიდი გამარჯვებები. იგი ფაქტიურად ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე იჯდა. თამარი „აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელის“ ტიტულს ატარებდა.

თამარ მეფის ეპოქაში ყვაოდა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ბრწყინავდა ქართული კალამი და ყალამი. სწორედ იმ ეპოქის გვირგვინია შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟკაცობის, სიბრძნისა და სიყვარულის წყარო. ღირსეულთა შორის ღირსეული აღმოჩნდა ბაგრატიონთა გვარში მეფეთ მეფე თამარი. მისი სახელი საფიცარი გახდა ქართველებისთვის.

საქართველოს ისტორიას რომ კითხულობ, თავისთავად იბადება კითხვა: რა უფრო ძნელი შეიძლებოდა ყოფილიყო – ისეთი სახელმწიფოს შექმნა, როგორიც XII საუკუნის დასაწყისისთვის საქართველო იყო, თუ ამ სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა, მისი დიდებისა და ძლიერების შენარჩუნება. დასკვნების გამოტანას ნუ ვიჩქარებთ, თანამიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს.

მთელი XIII და ნაწილობრივ XIV საუკუნეც ნაწილობრივ მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ უხდებათ იმდროინდელ ბაგრატიონებს ბრძოლა და არც თავგანწირვა იყო მათთვის უცხო. ბაგრატიონთა გვარის ისტორიას კიდევ უფრო აკეთილშობილებს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული მეფე დემეტრე II თავდადებული (1271-1289), რომელიც ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ეს იყო მთელი ქართველი ერის სულიერი ამაღლება.

დემეტრეს გმირობიდან 600 წლის შემდგომ საქართველოს უგვირგვინო მეფემ ილია ჭავჭავაძემ მას ხოტბა შეასხა და მიუძღვნა პოემა – „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

XIV საუკუნის დასაწყისს საქართველო შეხვდა პოლიტიკურად დაშლილი, სულიერად დაკნინებული და ზნეობრივად დაცემული. მაგრამ იყო კიდევ ერთი გამონათება – გიორგი V ბაგრატიონი (1314-1346) ნიჭიერი და გამჭრიახი პოლიტიკოსი, რომელმაც შეუძლებელი შეძლო – მონღოლთა უღელიც მოიშორა და დაქცეული ქვეყანაც აღადგინა და ააშენა – „ვითარცა დავით აღმაშენებელმან“.

გიორგი V-ის დამსახურება და მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა დიდი მიღწევა ის იყო, რომ დაშლილი საქართველო გაერთიანდა და გადაურჩა საერთო გადაშენება-გადაგვარების საფრთხეს. ხალხი თავაუღებლად შრომობდა, აშენებდა, ჭირნახულს იწევდა, ვაზს უვლიდა და შეჰხაროდა, ღვინოს აყენებდა. მტერს მტრულად ხვდებოდა და მოყვარეს მოყვრულად. მადლიერმა ქართველმა ხალხმა გიორგი V ღირსეულად მიაკუთვნა ტიტულ–თიკუნი „ბრწყინვალე“.

XV საუკუნე ცუდად დასრულდა საქართველოსათვის. საუკუნის მიწურულს აღარ არსებობდა საქართველო „ნიკოფსიით დარუბანდამდის“. ამდენი შრომით, ომით, ტანჯვითა და წვალებით გაერთიანებული საქართველო დაიშალა სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ. აქედან სამივე სამეფოში – ქართლშიც, კახეთშიც და იმერეთშიც სამეფო ტახტებს ბაგრატიონთა ძველი სამეფო დინასტიის შთამომავლები ფლობდნენ, აქედანვე დაედო სათავე სამომავლოდ ბაგრატიონთა სამ შტოს.

ამიერიდან ცალ-ცალკე ვითარდება საამივე სამეფო, „ცალკეული საქართველოები“. მათ ძირითადად ცალ-ცალკე უხდებათ გაძლიერებული ირანის, ძლევამოსილი ოსმალეთისა და სხვა მტრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველო სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ ერთიანობის აღდგენის იდეა მარად ცოცხლობდა მრავალტანჯულ ქართველ ერში.

XVI-XVII საუკუნეებშიც გრძელდება ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის. უმძიმესი იყო ეს დრო საქართველოსთვის. ეს არის ხანა ყიზილბაშური ირანის არნახული გაძლიერებისა და უმძიმესი აგრესიისა ქართლის და განსაკუთრებით კახეთის წინააღმდეგ. ეს არის ასი ათასი დახოცილი და ორასი ათასი ირანის სხვადასხვა პროვინციებში გადასახლებული ქართველი, გმირული მარტყოფი და მარაბდა, მაგრამ ამასთან ერთად ძმათა მკვლელი ომიც ბაზალეთში.

იმ ეპოქაში ერთმა სამწუხარო მოვლენამ იჩინა თავი. ბედის უკუღმართობის გამო ქართლსა და კახეთში ბაგრატიონები სამეფო ტახტზე მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ ადიოდნენ. ასე გაჩნდნენ ქართველი დაუთ-ხანები, შაჰ ნავაზ-ხანები, ნაზარ ალი-ხანები, იმამ ყული-ხანები და ასე შემდეგ. მაგრამ ქართველმა ხალხმა ამ განსაცდელსაც გაუძლო, რამეთუ იგი ყოველთვის შეურყევლად იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

XVIII საუკუნეში ვითარება იცვლება და მეტად საინტერესო პერიოდი დგება ქართლ-კახეთის ისტორიაში. დიდი მცდელობის, წინააღმდეგობისა და აჯანყებების მეოხებით შეძლეს კახეთის ბაგრატიონებმა, მამა-შვილმა თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1798) ქრისტიანული წესით დაეკავებინათ ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტი 1744 წელს.

ერთ საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო მას აქეთ, რაც ქართლსა და კახეთს გამაჰმადიანებული ქართველი მეფეები განაგებდნენ. ახლა კი ქრისტიან ხელმწიფეთა მოვლინებას ხალხი ღვთის წყალობად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ქვეყნის აღორძინების პერიოდი დაიწყო.

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა ერეკლე II ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. 1754 წელს დაისტამბა ფრანგი კომერსანტის – პეისონელის წიგნი, რომელიც 1755 წელს გერმანულ ენაზეც გამოქვეყნდა. ამ ნაშრომით ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

80-იანი წლების მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის მეტად არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა. მოძლიერებული ქართული სახელმწიფო უაღრესად რთულ საგარეო პოლიტიკურ ჭიდილში გაება. ამ დროს უკვე რუსეთის იმპერია ჯიუტად მოიწევდა საქართველოსკენ. 1795 წელს კი აღა მაჰმად-ხანის ველურმა ურდოებმა წელში გატეხეს საქართველო. კრწანისის ომი უზარმაზარი ტრაგედია იყო ქართველი ხალხისთვის. რუსეთის ხელისუფლების მზაკვრულმა საგარეო პოლიტიკამ სავალალო შედეგი გამოიღო საქართველოსთვის.

1798 წელს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა მეფე ერეკლე II. მეფე-მეომარი ყველაზე უფრო ახლოს იდგა ხალხთან, ვიდრე შუა საუკუნეების რომელიმე სხვა ქართველი ხელმწიფე. მეფე ერეკლემ თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ლაშქრობაში გაატარა და მის „ავ მუსაიფ“ ხმალს ქარქაში არც უნახავს. იგი გულწრფელად უყვარდა ერს.

ერეკლე II გარდაცვალების შემდგომ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა შვილმა გიორგი XII (1798-1800). უიღბლო და ულონო მეფე გიორგის იმ რთულ ვითარებაში სახელმწიფო საქმეთა ღირსეულად გაძღოლის უნარი არ გააჩნდა. იგი მალევე გარდაიცვალა. მის მემკვიდრეს დავით ბაგრატიონს (ბატონიშვილი) მეფობა აღარ ეწერა. იგი „საქართველოს მმართველად“ გამოცხადდა და ისიც დროებით. რუსეთის იმპერატორის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის გუბერნიად იქცა.

იმერეთის სამეფოში ბაგრატიონები რამდენიმე წელი კიდევ ინარჩუნებდნენ სამეფო ტახტს. იმერეთს სამწუხაროდ აღარ ჰყავდა სოლომონ I (1752-1784), შესანიშნავი დიპლომატი და ბრწყინვალე სარდალი. ხატოვანი თქმით იგი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც – „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჭქეფე, იმერთ მეფე სოლომონ“.

იმ დროს რუსეთის იმპერიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის სამეფოს დაპყრობაც. 1810 წლის სექტემბრის ბოლოს რუსების მიერ დევნილი იმერეთის შეუპოვარი მეფე, ერეკლე II შვილიშვილი, სოლომონ II (1789-1810) ახალციხეში გადავიდა, ხოლო შემდგომ ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს. იმერეთის სამეფოს აღსასრულს ერთ-ერთი ჟამთააღმწერელი ასე მოკლედ გვაუწყებდა: „ქკს უჟ (1810 წ.) აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი“.

ამრიგად, XVIII საუკუნის გასრულებას თან გაყვა საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართული სახელმწიფო. წარსულის საკუთრება გახდა სახელოვანი და უპირველესი გვარის – ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი ზეობა საქართველოს სამეფო ტახტზე. ბაგრატიონებმა, გარდა იმისა, რომ მრავალი გამორჩეული მეფე მისცეს ქვეყანას, არაერთი მამულიშვილური საქმითაც ისახელეს თავი. ერთიანი საქართველოს აღზევება და დიდება განუყოფელია ბაგრატიონთაგან. მათ უზარმაზარი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული ეკლესიისადმი ბაგრატიონების დამოკიდებულება. მამა–პაპათა სარწმუნოება – მართლმადიდებლობა ბაგრატიონთა უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავი იყო. ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ ბევრი მათგანი წმინდანად შერაცხა.

წმინდანად შერაცხული დიდი ბაგრატიონების გმირულ გალერეას ამშვენებენ – აშოტ კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, ორი ლუარსაბი: ლუარსაბ I და ლუარსაბ II. ამ დიდებულ სახელებს ასრულებს ბაგრატიონთა ასული და კახეთის გმირი დედოფალი ქეთევანი, რომელიც 1624 წელს შორეულ ირანში არაადამიანურად აწამეს ქრისტეს რჯულისათვის. უნდა ითქვას, რომ წმინდანად შერაცხული ბაგრატიონები შარავანდედია ბრწყინვალე ქართული გვარისა.

„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“... ბრძანა ილია ჭავჭავაძემ.

ჩვენ არ გვაქვს უფლება არ დავუფიქრდეთ სულმნათი ილიას ამ შეგონებას, მის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველურ აზრს, რადგან მასთან არის დაკავშირებული, არა მარტო წარსულის შეცნობის სურვილი, არამედ საქართველოს ღირსეული აწმყო და მომავალი.

ჩვენთან არს ღმერთი!

ოთარ დავითაშვილი
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის
რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

ეს საოცარი პანდორას ყუთი

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი კულტურა აღმოცენებულა და გამქრალა. ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც კულტურის განუყოფელი ნაწილია, მითოლოგიის წიაღში აღმოცენდა. მსოფლიოს ყველა ხალხს საკუთარი მითოლოგია ჰქონდა. ბერძნული მითოლოგია უმშვენიერესია დედამიწაზე.

ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად პრომეთე იყო ტიტანი (ტიტანები – უფროსი თაობის ღმერთები). იგი ძლიერი ბუნების, ადამიანთა მფარველი და მათთვის წამებული გმირია. სახელი პრომეთე ბერძნულიდან ითარგმნება როგორც – ფრთხილი, წინდახედული.

პრომეთემ ღმერთების სამყოფელ ოლიმპის მთიდან მოიტაცა ცეცხლი, მოუტანა ადამიანებს და ასწავლა მისი მოხმარება.

განრისხებულმა ზევსმა, უზენაესმა ღვთაებამ, ღმერთთა და კაცთა მბრძანებელმა პრომეთე დასაჯა. იგი მიაჯაჭვა კავკასიის მთებზე და მიუჩინა არწივი მისი ღვიძლის საძიძგნად, რომელიც ღამე მთელდებოდა. ზევსმა მკაცრად დასაჯა პრომეთე, მაგრამ მოინდომა პრომეთეს მიერ გაბედნიერებული ადამიანების დასჯაც.

ზევსის ბრძანებით ღმერთებმა: ჰეფესტომ (ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი), ათენამ (სიბრძნისა და ომის ქალღმერთი), აფროდიტემ (სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი) და ჰერმესმა (ზევსის ელჩი და შიკრიკი) შექმნეს შესანიშნავი გარეგნობისა და სილამაზის ქალი – პანდორა. ჰეფესტომ მიწისა და წყლის ნარევისაგან გამოძერწა ქალი, და ადამიანის ძალა, ნაზი ხმა და უკვდავი ღმერთების მზერა მიანიჭა. ათენა პალადამ მას ბრწყინვალე ტანისამოსი შეუკერა. აფროდიტემ სილამაზით დაასაჩუქრა, ხოლო ჰერმესმა – ცნობისმოყვარე ჭკუითა და ეშმაკობით. ამ ქალს პანდორა დაარქვეს, რაც ნიშნავს „ყველასგან დასაჩუქრებულს“.

აი, ეს ქალი გაუგზავნა ზევსმა ეპიმეთეს (პრომეთეს ძმა) ჰერმესის ხელით. კავკასიონზე მიჯაჭვულმა პრომეთემ გააფრთხილა ძმა, ზევსს არ ენდო, პანდორა სიკეთეს არ მოგიტანსო. ქალის სილამაზით მოხიბლულმა ეპიმეთემ პრომეთეს არ დაუჯერა და პანდორა ცოლად შეირთო.

ეპიმეთეს სახლში იდგა ერთი ულამაზესი ყუთი. არავინ იცოდა რა იყო ამ ყუთში, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ მისი გახსნა უბედურებას მოასწავებდა. პანდორას სძლია ქალურმა ცნობისმოყვარეობამ, გაფრთხილება არაფრად ჩააგდო და გახსნა საბედისწერო ყუთი.

ამ ულამაზესი ყუთიდან ამოფრინდა ყოველგვარი უბედურება: ავადმყოფობა, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, სიძულვილი, გაუტანლობა, მრუშობა, ღალატი და სხვა. ყუთში დარჩა მხოლოდ „იმედი“. ამიტომაა, რომ ადამიანებს ყველა უბედურება სჭირთ, მაგრამ ყოველთვის აქვთ იმედი უკეთესი მომავლის.

ძვირფასო მკითხველო, იმედი არ მოგიშალოთ უფალმა.

ჩვენთან არს ღმერთი!

მომზადებულია ბერძნული მითოლოგიის მიხედვით.

ოთარ დავითაშვილი
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის
რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

მისაბაძი ბოგირელები, რომელთაც ყვარლის ისტორია გააცოცხლეს და „ბოგირელობის“ დღესასწაული დააწესეს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

აგებული, წყალზე გადასასვლელით. ეს ბოგირი გადებული იყო მდინარე დურუჯის ერთ ერთ ტოტზე, რომელიც მეწისქვილეებს ამარაგებდა წყლით. დღეს წისქვილები აღარ არსებობს ბოგირზე, მაგრამ სახელი „ბოგირი“ რჩება როგორც ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის. ამ სულისკვეთებამ გადააწყვეტინა ორგანიზაცია „ბოგირის“ წევრებს დაეარსებინათ დღე „ბოგირელობა“, რაც „ბოგირის“ და „ხიდის“ ცნებას ფრთებს შეასხამდა.

დღესდღეობით ბოგირი ყვარელში წარმოადგენს ერთ დიდ სამეზობლოს, სადაც კავშირები ოჯახებს შორის, უბნებს შორის კიდევ იგრძნობა. ეს ფენომენი მნიშვნელოვანია და გაფრთხილებას საჭიროებს.

„ბოგირელობის“, ამ მნიშვნელოვანი საზეიმო ღონისძიების იდეის ავტორები და ორგანიზატორები არიან ორგანიზაცია „ბოგირის“ დამფუძნებლები, ამიტომაც ვთხოვეთ ამ ორგანიზაციის დირექტორს გია ივანიშვილს გამოენახა დრო და გვესაუბრა ორგანიზაცია „ბოგირის“ საქმიანობისა და „ბოგირელობის“ ღონისძიების აღნიშვნის თაობაზე.

– ბატონო გია, „ბოგირელობის“ დღის დაწესების მიზანი რა იყო?

– „ბოგირელობის“ აღნიშვნით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა რომ კიდევ არსებობს ხიდები ოჯახებს შორის, ხიდები თაობებს შორის, დიდხანს უნახავ თანაკლასელებს შორის, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, ხიდები ადგილობრივ და ემიგრაციაში ნასულ მოსახლეობას შორის.

წიგნმა „ბოგირი და მოგონებები“ ითამაშა ხიდის როლი წარსულსა და აწმყოს შორის, როცა ის ხელიდან ხელში გადადიოდა ამ დღეს და ესალმებოდა მოსახლეობას წარსულიდან მომღიმარი სახეებით.

კაშკაშა მზისა და შუადღის სიცხის მიუხედავად, ღონისძიებას დაესწრო საკმაოდ ბევრი ადამიანი. პარკის გარე ტერიტორიაც კი სავსე იყო, და როგორც გვითხრეს, ღონისძიების ხმა ისმოდა ზეგვით კაზარმამდე, და ქვევით ძველ სავადმყოფომდე. რა თქმა უნდა, ალბათ ამ უბნის ამაღლებული მდებარების წყალობით. დღევანდელი სოციალური ქსელების წყალობით კი, ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მიიღეს ემიგრაციაში წასულმა თანაბოგირელებმაც და საპასუხოდ თბილი სიტყვებიც არ დაიშურეს.

– თქვენ ბოგირის და ბოგირელების ისტორიის შესახებ წიგნი გამოეცით, ვინ გეხმარებოდათ საჭირო ინფორმაციების მოძიებაში და ვინ დააფინანსა?

– წიგნის შექმნის იდეა გაჩნდა ორი წლის წინ, როდესაც დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბოგირი“ ზურაბი ივანიშვილის ინიციატივით. ზურიკო ცხოვრობს ვანკუვერში (კანადა), რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანის ნაპირზე, კანადის დასავლეთით. მისთვის სამშობლოში ჩამოსვლა, განსაკუთრებით მისი პროფესიიდან გამომდინარე, არც თუ ისე ადვილია. ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მოახერხა ჩამოსვლა, ისიც ძალიან მოკლე დროით. ზურაბმა წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, კანადაში ხელმეორედ დაამთავრა ვანკუვერნის სამედიცინო უნივერსიტეტი. ამჟამად მუშაობს ვანკუვერნის როიალ კოლუმბიან სამედიცინო ჰოსპიტალში ნეიროქირურგად. ამჟამადაც ერთი კვირით იმყოფებოდა ყვარელში და მაქსიმალური მცდელობით მოახერხა ბავშვობის მეგობრებთან, მასწავლებლებთან და ახლობლებთან შეხვედრები. ზურაბმა პატარა სურვილიც კი აისრულა ჯოკერი ითამაშა მისი ბავშვობის დროინდელ მეგობრებთან.

წიგნის შექმნის ერთ ერთი მთავარი მოქმედი პირი, რა თქმა უნდა არის ქალბატონი იზოლდა იოსებიანი და ამ წიგნის ავტორიც. მასთან მუშაობა ამ ორი წლის განმავლობაში იყო პატივი და სიამოვნება. ბოლო თვეებში, თითქმის კვირაში ორჯერ ან სამჯერ ვხვდებოდით ან ვსაუბრობდით ტელეფონით წიგნზე. ჩვენ ორგანიზაციას გაუმართლა იმიტომ რომ ის არა მარტო წარმატებული პოეტი და მწერალია ყვარელში, ის ასევე არის ყოფილი მესამე სკოლის პედაგოგი, და აქტიურად, პროფესიულად არის ჩართული ყვარლის კულტურულ ცხოვრებაში. ქალბატონმა იზოლდიმ მოაწყო მოსახლეობასთან შეხვედრები, უამრავი მასალა მოიძია და ეს ყველაფერი წიგნის ფურცლებზე ასახა. მან გაუწია დიდი სამსახური ბოგირელებს, და ყველა თანამოქალაქეს ყვარელში თუ ქვეყნის გარეთ, ვისთვისაც ჩვენი ბოგირისა და მესამე სკოლის წარსული და მოგონებები არის მნიშვნელოვანი. მახსენდება როგორ ნერვიულოდბა, კოლორიტი თუ პროფესიით ცნობილი ბოგირელი, ან რომელიმე მასწავლებელი არ გამოგვრჩეს, რომ წიგნში მათი ღვაწლი არ აისახოსო.

მისი ლექსი „ბოგირელო ჩემო“ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამ პროექტში, რომელიც მან დაწერა ჩვენი თანამშრომლობის პირველ ეტაპზე. ეს ლექსი, თითქოსდა მოექცა წიგნისა და ღონისძიების ჩრდილში, მაგრამ ჩემი აზრით ის არანაკლები მნიშვნელობის მოვლენაა. ასეთ სასიამოვნო რიტმებში, ასეთი მნიშვნელოვანი შინაარსით და სიყვარულით, პოეტები ქვეყნებს და დიდ მოვლენებს უძღვნიან. მან კი ის რამდენიმე დღეში, დიდი სიყვარულით და შემართებით შექმნა, და ჩვენი პატარა ბოგირი გაამდიდრა სულიერად.

ჩვენ ის სამასი ცალი დავბეჭდეთ და დავარიგეთ ღონისძიებაზე. ასევე ვგეგმავთ, რომ დროდარო მივაწოდოთ მოსახლეობას რათა ის ყველა ბოგირელის ოჯახში განთავსდეს.

– როგორ შეაფასებთ მოსახლეობის ჩართულობას წიგნისათვის მასალების მოძიებაში და ღონისძიების ორგანიზებაში?

– აღსანიშნავია ასევე მოსახლეობის აქტიური ჩართულობაც. ეს არ იყო ტრადიციული პროექტი და ხშირად გვიხდებოდა ახსნაგანმარტება თუ რა მიზნებით ვაგროვებდით ისტორიებს და სურათებს. ორი წლის წინ, განვათავსეთ ბანერი ბოგირის ცენტრში, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას მოსახლეობას წიგნის გამოცემის შესახებ. ბევრი დაგვიკავშირდა და მოგვაწოდა მასალები. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა სიმო ბაღაშვილმა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია წიგნის ავტორს, და ასევე მე ღონისძიების ორგანიზატორს ინფორმაციის მოძიებასა და წიგნისთვის საჭირო სურათების შეგროებებაში.

მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, და მადლობა გადავუხადო ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის მასალების მოძიებაში და მისი პრეზენტაციის ღონისძიების ორგანიზებაში.

აქვე მინდა გამოვხატო მადლიერება ყვარლის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი გივი ზაუტაშვილი და მისი გუნდი ყოველთვის მხარდაჭერით გვპასუხობს და გვიწყობს ხელს ჩვენი პროექტების განხორციელებაში.

ახლო წარსულიდან კი მინდა გავიხსენო ილია მზექალიშვილის (ერთ ერთი ბოგირელის) ამაგი, ვისი ინიციატივითაც აშენდა სპორტული მოედნები და პარკი ყვარლის მესამე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე, სადაც ჩავატარეთ ღონისძიება. ასევე, მადლიერები ვართ ყვარლის კულტურის განვითრების ცენტრის თანამშრომლების, რომლებმაც უზრუნველყვეს ღონისძიება სცენით და ტექნიკური საშუალებებით, საკმაოდ მძიმე კონსტრუქციის ამოტანით და გაწყობით, ასევე მიკროფონებით და ღონისძიების დროს მისი მართვით.

– როგორ ჩაიარა ბოგირელობის პირველმა ღონისძიებამ, კმაყოფილი თუ ხართ შედეგით?

– ღონისძიება გავხსენით ბაღი გვირილას ბავშვების მიერ მომზადებული ნომრით, რომელთა სასიამოვნო სიმღერებმაც პოზიტიური ფონი შეუქმნა ღონისძიებას. აქვე მინდა მადლოდა გადავუხადო ბაღ „გვირილას“ და ყვარლის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობას თანამშრომლობისათვის, ჩვენ ერთობლივად უკვე ორი პროექტი საახალწლო ნაძვისხისა და ბავშვების დღესთან დაკავშირებით განვახორციელეთ.

ღონისძიება დაამშვენა ყვარლის მერიასთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ყვარელმა“, ლოტბარი, ბატონი ირაკლი მათიკაშვილი. მათი მჭეხარედ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები სიამაყით აღავსებდა დამსწრეებს. სასიამოვნო მოსასმენი იყო კულტურის სახლთან არსებულ მომღერალ ქალთა ჯგუფ „ნანინას“ სიმღერები, ხელმძღვანელი ნანა ჩიხიაშვილი.

კიდევ ერთხელ მინდა ავღნიშნო, რომ მიუხედავად იმისა რომ თავისუფალი გამოსვლები იყო დაგეგმილი, საჭიროებიდან გამომდინარე, ქალბატონმა იზოლდა იოსებიანმა წამყვანის როლი თავის თავზე აიღო, როგორ პროფესიონალმა ამ სფეროში, და მისთვის დამახასიათებელი შემართებით გაუძღვა ღონისძიებას. მან, როგორც წიგნის „ბოგირი და მოგონებები“ ავტორმა, ისაუბრა ასევე წიგნზე და მისი შექმნის პროცესებზე.

ამ დღით მიცემული შესაძლებლობით ისარგებლა და ათობით წლების უნახავ ბოგირელებს, თანაკლასელებს, და მასწავლებლებს ვრცელი სიტყვით მიმართა ზურაბ ივანიშვილმა. მან გაიხსენა რამდენიმე ისტორია მესამე საშუალო სკოლის ცხოვრებიდან, და ხაზი გასუსვა პედაგოგების ფასდაუდებელ ამაგს მისთვის და მისი თანაკლასელებისთვის; სიტყვის დასასრულს კი დიდი სიამაყით განაცხადა: „მე ზურა ვარ და ვარ ბოგირელი“!

გულმხურვალე გამოსვლით შეუერთდა ზურას, მისი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი, ქეთი ბაღაშვილი. ნინო ცირიკაშვილმა წაიკითხა თანაკლასელებისთვის მიძღვნილი ლექსი, რომელიც დიდი სათნოებით და სიყვარულით დაწერა მათმა პირველმა მასწავლებელმა, ლალი ბუთხაშვილმა. ნათელა მოლაშვილმა ნათლად წარმოსახა ის უანგარო სულისკვეთება რაც ახასიათებთ თავგადადებულ პედაგოგებს ახალი თაობის აღზრდის პროცესში. იქ შეკრებილ საზოგადოებას მგზნებარე, გულწრფელი და ამ კლასისადმი უზომო სიყვარულით გამსჭვალული სიტყვით მიმართა მარიკა მოლაშვილმა, ვინც იყო და არის ამ კლასის სათაყვანებელი დამრიგებელი მასწავლებელი.

ყვარლის მესამე საშუალო სკოლის 1989 წლის კლასდამთავრებულთა და მათი სათაყვანო მასწავლებლების სიტყვით გამოსვლებმა განსაკუთრებული შინაარსი შესძინა ამ ღონისძიებას.

ბოგირელი ახალგაზრდების სახელით სიტყვით გამოვიდა ნიკა ფოჩხიძე, ვინც საპატიო ბოგირელებისა და საპატიო ყვარლელების ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელია, და გვაგრძნობინა რომ ბოგირის მომავალი კარგ ხელშია. კიდევ ერთმა ახალგაზრდა, დიმიტრი მასხარაშვილმა წაიკითხა ლექსი „ბოგირელო ჩემო“!.

ბოგირის საზოგადოების სახელით მადლობის სიტყვით გამოვიდა ირმა ჩოხელი, ვინც ასევე არის ერთ ერთი საუკეთესო ბოგირელი, და შემოქმედებით აღსავსე ბოგირელთა ოჯახის წევრი.

– როგორ ფიქრობთ, ბოგირელებმა მიიღეს შეთავაზებული სიახლე, მომავალში მასიური და საინტერესო თუ გახდება?

– ღონისძიების დასრულების შემდეგ ბოგირელები კიდევ დიდი ხნით დარჩნენ პარკის ტერიტორიაზე, საუბრობდნენ, იხსენებდენ წარსულიდან ისტორიებს, იღებდნენ სურათებს, და რაც ყველაზე მთავარია, გამოთქვავდნენ სურვილებს რომ ამგვარი ღონისძიება, „ბოგირელობა“ ჩატარდეს ყოველ წელს.

მე როგორც ორგანიზაცია ბოგირის დირექტორს და ამ პროექტის ორგანიზატორს, ყველაზე დიდი პრივილეგია მერგო წილად; ბოგირის მოსახლეობასთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ამ სახალისო ღონისძიებისა და წიგნის წარმოების პროცესების გამო. ეს იყო საინტერესო გამოცდილება და გრძელდება ჯერ კიდევ. მეც ასევე წასული ვიყავი საქართველოდან დიდი ხნით და ამ პროცესებმა მომცა საშუალება ახლიდან გავცნობოდი ჩემს თანაუბნელებს. ხშირად ვხედავ ადამიანს, მეცნობა მაგრამ სახელს ვერ ვიხსენებ, ანდა პირიქით მეტყვიან სახელს, ვიცი რომ ვიცნობ მაგრამ სახეს ვეღარ ვიხსენებ. 20 წელი პატარა დრო არ არის, მაგრამ ხელმეორედ გაცნობისა და ურთიერთობის შესაძლებლობებმა უფრო საინტერესოდ დამაახლოვა ყველასთან.

სასიამოვნო იყო ჩემთვის იმის შეგრძნება, თუ როგორი ინტერესით და შემართებით ცდილობდნენ ბოგირელები დახმარებას. თითოეული სურათის და

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

ისტორიის მოძიებას თავისი პატარა საინტერესო ისტორია აქვს. წიგნის წინა ყდის, 1975 წელს კლასდამთავრებულების სურათის ორიგინალი, უცხოეთში მცხოვრები, თამარი ხვიჩიას დახმარებით მოვძებნეთ ყვარელში. უკანა ყდაზე, 60-იან წლებში გადაღებულ სურათზე კი რამდენიმე თვე დაგვჭირდა რომ ორიგინალი გვეპოვნა. ის ინტერნეტზე, დიდი ხნის წინ გაკეთებულ ვებგვერდზე ვნახეთ, და ეტაპობრივად, კითხვა კითხვით მივედით ზაზა კალატოზიშვილის ოჯახამდე, სადაც მისი ორიგინალი ინახებოდა. ზაზას ბიჭი, გელა სპეციალურად ჩამოვიდა თბილისიდან რომ მოეძებნა სურათი სახლში, უკვე წიგნის ბეჭდვის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

როდესაც ვსაუბრობთ, მოქალაქეთა ჩართულობაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოგირელი, ილია ჯაფოშვილის პროფესიული დახმარება. ორგანიზაცია ბოგირი ყველა პროექტს ახორციელებს ოფიციალური ანგარიშიდან გადარიცხვებით. ილია როგორც პროფესიით ბუღალტერი, უანგაროდ ემსახურება ონგანიზაციას და აქედან გამომდინარე ბოგირის მოსახლეობას.

ყოველი შეხვედრა მოსახლებასთან იყო სიამოვნება და წამახალისებელი, რისთვისაც მე უზომოდ მადლობელი ვარ ბოგირელებისა, და ყველასი ვინც გვეხმარებოდა თუნდაც მხოლოდ თანადგომით.

– რა მიზნით დააფუძნეთ ორგანიზაცია „ბოგირი“?

– ორგანიზაცია „ბოგირი“ დავაფუძნეთ 2021 წლის 9 მარტს. მისი წევრები არიან: გიორგი შიოშვილი, ნინო ცირკაკაშვილი, ბესიკი ჩიხრაძე, სიმონი ჭიჭოშვილი, ნუკრი ჯაფოშვილი, თინა ხუციანიძე და ზურაბი გიგილოშვილი. მე, გიორგი ივანიშვილი, ვარ ერთ ერთი დამფუძნებელი, და ასევე ორგანიზაციის დირექტორი. ჩემს გარდა, ისინი ყოფილი კლასელები არიან, და დანარჩენ თანაკლასელებთან ერთად რომლებიც ჩართულები არიან შეძლებისდაგვარად, მუშაობენ როგორც ერთი გუნდი. ამ ორგანიზაციამ ჩვენ დაგვაახლოვა ისე რომ ისინი უკვე ჩემი ახლო მეგობრებიც არიან.

ორგანიზაციამ დაფუძნებიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო პროექტების განხორციელება. ყველა ჩვენი ღონისძიებების შესახებ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განთავსებული ინფორმაცია, ორგანიზაცია ბოგირის ფეისბუქ გვერდზე „Bogiri-ბოგირი“, სადაც ყველას შეუძლია შესვლა და ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა.

გასულ წელს დავეხმარეთ დოლოჭობის არქეოლოგიურ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ბახტაძე. დავაფინანსეთ ორი საინფორმაციო ბანერი დოლოჭოპის ბაზელიკის შესახებ, და ასევე რკინის სახურავის შეძენა ძვალთა სასუფეველი აკლდამისთვის.

ასევე დავამყარეთ ახლო საქველმოქმედო ურთიერთობა ბაგა-ბაღ გვირილასთან, და ძალიან მადლობლები ვართ, მის დირექტორ, მაია ქაქალაშვილთან თანამშრომლობით. ჩვენ, ყოველ წელს ვაწყობთ საახალწლო ღონისძიებას ბოგირის ცენტრში და ნაძვისხის გარშემო, თოვლისბაბუას დახმარებით ვურიგებთ ბავშვებს ტკბილეულს. ისინი გამოდიან ლექსებით და სურათებს იღებენ თოვლის ბაბუასთან.

2021 წლის, 1 ივნისს, ბავშვების დღესთან დაკავშირებით, გადავეცით საჩუქრები ბაღი გვირილას ბავშვებს.

დავაფინანსეთ წიგნი „ბოგირი და მოგონებების“, გამოცემა, მისი პრეზენტაციის ღონისძიების ჩათვლით, ჯილდოები გადავეცით ორ წარმატებულ სპორტსმენს.

ამ პროექტებს აფინანსებს ზურაბი ივანიშვილი, რომელიც არის ასევე მრჩეველი და ზოგიერთი პროექტის იდეის ავტორიც. მე შემიძლია სიტყვებით გადმოგცეთ, და გაგიზიაროთ იმ კმაყოფილებისა და სიამოვნების შესახებ, რასაც მე მასთან საუბრისას ვგრძნობ, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების მოსმენისას.

მადლობებისა და პოზიტიური რეაქციების მოსმენა ღონისძიების მერე არის ასევე ძალიან წამახალისებელი ჩვენთვის. ბევრი გვიკავშირდება ინიციატივებით, იდეებით და ასევე დამსახურებული კრიტიკითაც. გამოხატავენ სურვილს, რომ შეიძინონ ჩვენი წიგნი და ორგანიზაციის მაისური. მომავალში ვგეგმავთ მაისურების ბევრად დიდი რაოდენობა შევუკვეთოთ. იტალიიდან დაგვირეკა მარინე სამიტაშვილმა, გამოხატა მადლიერება და გამოთქვა სინანული, რომ აქ არ იყო და ვერ მიიღო მონაწილეობა ღონისძიებაში. მან ასევე მოგვიყვა პატარა მომენტის შესახებ. მისი ძმა ილია სტუმრად იმყოფებოდა მასთან და ჩვენი ორგანიზაციის მაისურზე, რომელიც მას ეცვა, ხნიერ ქალს უკითხავს: „შვილო, ქართველი ხარ, ეს ბოგირი რას ნიშნავს?“ რაც უფრო ბევრი ადამიანი გაიგებს ბოგირის შესახებ, რაც უფრო ბევრი მადლიერი ადამიანი გვეყოლება, მით უფრო ხალისიანად ვიმუშავებთ ჩვენ

ბოგირელო, ჩემო!

ერთ ბოგირზე დავდივართ და
გვფარავს მთების ჩერო.
ჭირის, ლხინის მოზიარეგ,
ბოგირელო ჩემო!
ერთმანეთის ლხინით-ვლხინობთ,
ერთურთის ჭირს ვჩემობთ.
ჭირს და ლხინში გვერდით მდგომო,
ბოგირელო ჩემო!
ყვარლის მიწა და ჰაერი,
საზიაროდ გვყოფნის.
ერთმანეთის ნაწილი ვართ,
გამართლება ყოფნის!
– გამარჯობა! – ხელს აგიწევ,
შენს სიყვარულს ვჩემობ.
– გაგიმარჯოს! – გამიღიმებ,
ბოგირელო ჩემო!
ჩემი სუფრის თამადა ხარ,
მე შენს სუფრას ვშვენი.
შენი ლხინი ჩემი არის,
ჩემი კიდევ – შენი!
– გამარჯობა! – მიხარია,
გამარჯვება შენი,
– გაგიმარჯოს! – გამიღიმებ
და ღიმილი გშვენის!
გულწრფელო და საიმედო,
ბოგირელო ჩემო!

იზოლდა იოსებიანი

და მით უფრო მეტი სიკეთეების გაკეთების შესაძლებლობა გაჩნდება ბოგირელებისთვის.

– როგორია ორგანიზაცია „ბოგირის“ გეგმები?

– დავიწყებდი იქიდან რომ ვამზადებთ პროექტს, რომლის შესახებაც მხოლოდ განხორციელების შემთხვევაში ვისაუბრებთ, რადგანაც ის უნიკალური სიურპრიზი იქნება ბოგირელებისთვის.

გავაგრძელებთ უკვე ტრადიციად ქცეული პროექტების დაფინანსებას; საახალწლო ნაძვისხეს, და მაისის ბოლოს ბოგირის უბნის ღონისძიებას.

ასევე, დაგეგმილია და განხორციელების პროცესშია პროექტი სასანთლის მოწყობისა, მაგიდის აშენებისა დოლოჭოპის ბაზილიკის ტერიტორიაზე, სადაც მიგვითითა ბატონმა ნოდარ ბახტაძემ. ამავე ადგილას იგეგმება პატარა ეკლესიის აშენება რისი უფლება და კურთხევაც მიღებული გვაქვს ან. გარდაცვლილი, მეუფე სერგისგან. მე პირადად შევხვდი მას, ჩვენი უსაყვარლესი, იმქვეყნად გარდასული, ჩვენი სულიერი მამის, დეკანოზ ბენიამენის რეკომენდაციით. მეუფე სერგიმ მიმიღო მე გულთბილად, გამიმასპინძლდა სიყვარულით, დამლოცა და მაჩუქა პატარა ჯვარი, რომელსაც ვინახავ მისგან სამახსოვროდ და უფლის სადიდებლად.

მინდა ვისარგებლო ამ მომენტით და მივმართო ბოგირელებს: ჩვენი ორგანიზაციის კარი ღიაა ყველასთვის ვისაც სურს გაწევრიანება, მონაწილეობის მიღება პროექტებში; იდეების, გეგმებისა და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

თქვენის ნებართვით ინტერვიუს დავასრულებ პირადი შეცდომის გამოსწორებით, და მადლობას მოვუხდი, იზოლდა (იზო) ივანიშვილს, დედაჩემს (რაც აქამდის არ გამხსენებია), რომელმაც მეგობრების –ზაირა საზანიშვილის, ნონა სეფაშვილის, და მანანა ოთარაშვილის დახმარებით ამ ღონისძიებაზე გაანაწილა 300 ადამიანისთვის გამზადებული ფურშეტი (ხაჭაპურები, ლობიანები, პონჩიკები და გრილი სასმელები), და ისეთი დაკავებული იყო, რომ არც ერთი სურათის კადრში ვერ მოხვდა, მიუხედავად იმისა რომ რამდენიმე ადამიანი ვიღებდით. მე როდესაც ვამზადებდი საინფომაციო მასალას ორგანიზაციის ვებგვერდისთვის, და გამოვხატე სინანული ამ ფაქტთან დაკავშირებით, მან მიპასუხა: ეგ არაფერი, მე ყველაზე კარგ ადგილზე ვიყავიო, ბავშვებსა ვკვებავდი, და მადლობებს ვიღებდი ხალხისგან ამ ღონისძიებასთან დაკავშირებითაცო, და ალბათ ეს იმიტომ რომ შენი და ზურიკო დედას ვარ მეო! იზო არის ჩემი ძვირფასი მშობელი, უახლოესი მეგობარი, და ჩვენი ოჯახის დედაბოძი; ვინც იცნობთ მას ახლოს, დამეთანხმებით რომ ის რომ არა, არც ეს წიგნი და არც ღონისძიება არ იქნებოდა დიდი ალბათობით.

უღრმესი მადლობა ყველას ყურადღებისთვის, და მომიტევონ იმ ადამიანებმა ვისი ხსნებაც შესაძლებელია გამომრჩა ამ საუბრისას.

დასასრულს კი, ბოგირელებს, ყვარლელებს, და მთლიანად საქართველოს მოსახლეობას ვუსურვებ მშვიდობას, კეთილდღეობას და ასეთი საქველმოქმედო და გულწრფელი ღონისძიებების განხორციელების მრავალ შესაძლებლობას.

– უღრმესი მადლობა ბატონო გია საინტერესო საუბრისათვის, უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

... მან ღირსეულად შეასრულა ეს მისია, იყო ყველას მოძღვარი, ყველას მამაო, ყველასათვის საყვარელი და დაფასებული...

ამქვეყნად ყველაფერი ძვირფასია, რაც იშვიათია, ხოლო რაც ერთადერთია, ის ორ და ათმაგად ძვირფასია. ერთადერთია დედა, სამშობლო, სიმართლე, თავისუფლება, რჯულიც ერთადერთია, ოღონდ მათთვის, ვინც მისი ერთგულია. ქრისტეს რჯულის ყოველთვის მწამდა, მაშინაც კი, ძალიან ახალგაზრდა როცა ვიყავი, ტაძრის კარი რომ ყველასთვის დაკეტილი იყო! თუმცა მარადიული არაფერია, ის ქვეყანაც ისტორიის საკუთრება გახდა და ნანატრი თავისუფლებაც მოვიდა! პოლიტიკურმა თავისუფლებამ სინდისის, აღმსარებლობის თვისუფლებაც მოიტანა, რაც ეკლესიაში მრევლასაც დაეტყო. არ მოვყვები იმას, თუ როგორ მოვხვდი პირველად ტაძარში მსახურებაზე, მაგრამ იმას კი გეტყვით, ვისი წყალობით დავჩი იქ დღემდე. ეს ჩემი მაშინდელი და ერთადერთი მოძღვარი მამა ბენიამინი იყო. რომ ვუყურებდი და ვუსმენდი როგორი ერთგულებით, უდიდესი რწმენით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აკეთებდა ის თავის საქმეს, მივხვდი, რომ ჩემი ადგილი აქ და მის გვერდით უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი და ეს რწმენა თვით ჩემმა მამაომ კიდევ უფრო გამიძლიერა. ამიტომ ჩემთვის მასზე წერა ადვილია, რადგან ამ ადამიანში არ არსებობდა რაიმე სვა ზრახვა და მითუმეტეს განზრახვა, გარდა უდიდესი სითბოსი, სათნოებისა და გულწრფელობისა. რასაც ფიქრობდა იმას ლაპარაკობდა, რასაც ლაპარაკობდა იმასაც აკეთებდა. ეს იყო პატიოსანი, ალალ-მართალი და კაცთმოყვარე ადამიანი, დაბადებული იმ საქმისთვის, რასაც სიცოცხლის ნახევარი ემსახურა. ამის ილუსტრაცია მთელი მისი ცხოვრებაა და სასიამოვნო მოგონებებიც, თუნდაც ამ მწუხარების ჟამს მრავლად გვაქვს ყველას, ვინც მასთან ახლოს ვიყავით სულიერად თუ უბრალოდ ადამიანურად. ეს მოგონებები წლების გადასახეიდან კიდევ უფრო გვარწმუნებს მის ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ბუნებაში. მახსოვს, ერთხელ ორი ათეული წლის წინ მეგობრების სუფრა მქონდა ოჯახში და მამა ბენიამინიც მოვიწვიე. სტუმართაგან ერთს, რომელიც არც მას, არც ჩემს აქაურ მეგობრებს საერთოდ არ იცნობდა, თავისებური, არასწორი წარმოდგენა ჰქონდა რელიგიაზე ზოგადად და სასულიერო პირებზე და ეს საკმაოდ არაკორექტულად გამოხატა. ყველა მიხვდა ამ გამოხდომის ადრესატი ვინ იყო და ყველამ დუმილი ამჯობინა. პასუხი თავად ადრესატმა გასცა, რომელიც ღმერთს შეევედრა – „ღმერთო, გაუნათე დაბნელებული გონება ამ ცოდვილს, რამეთუ გვიან არასოდეს არ არის“. მაგრამ ეს მან სიტყვებით კი არა, თვალების და სახის გამომეტყველებით გააკეთა, რაც შეუმჩნეველი არავის დარჩენია. მოყვასის სიყვარული ხომ მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი მცნებაა, თითოეულმა ჩვენთაგანმა ვიცით ეს, მამა ბენიამინი პირადი მაგალითით ყოველთვის სწორად და დროულად გვახსენებდა ამ უდავო ჭეშმარიტებას.

მამა ბენიამინი ერთნაირი მზრუნველი და ყურადღებიანი იყო როგორც მრევლის, ისე იმ ეკლესიის მიმართ, რომელშიც მსახურობდა – ყველა სიყვარულით, უბრალოდ ნათლისმცემელს რომ ვეძახით. მახსოვს, დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, მთხოვა, იქნებ შენი სამსახურის მეშვეობით რაიმე ცნობები მოვიპოვოთ ჩვენი ტაძრის წარსულიდან, ვინ იყვნენ მღვდელმსახურები და რომელ წლებში, რომ მათზე ვილოცოო. მე მაშინვე მივმართე კოლეგებს და სულ მალე უკვე ვიცოდით, რომ ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის შესახებ საარქივო დოკუმენტები არქივსაცავებში დაცულია 1819 წლიდან და რომ ამ წელს შტატის მღვდელი (ეტყობა ასე ერქვა მას მაშინ) იყო ნიკოლოზ ეფემიაშვილი. მღვდლები იცვლებოდნენ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ და ასე გრძელდებოდა 1917 წლამდე, ამ წელს მომხდარ ცნობილ მოვლენამდე. მათი სრული სია მამაოს გადავეცი, რითაც მისი გულწრფელი მადლიერება დავიმსახურე.

ბევრ ღირსებასთან ერთად მამა ბენიამინის ერთ-ერთი თვალშისაცემი თვისება მისი უბრალოება და თავმდაბლობა იყო. მახსენდება ჩვენი საუბარი ტაძარში, მსახურება არ იყო და შინაურულად ვსაუბრობდით. მან ისე, სახხვათაშორისოდ, ნახევრად ხუმრობით მითხრა, საერო სამსახურში მუშაობის ცოტა სტაჟი მაქვს, აქ მსახურებას სტაჟში არავინ ჩამითვლის და პენსიის ცოტას მაინც არ დამინიშნავენო? მივხვდი, რომ ის არ იცნობდა საპენსიო კანონმდებლობას და ვუპასუხე – მამაო, შენ შენი საქმე აკეთე შენებურად, როგორც ყოველთვის, ჩვენთვის ილოცე და ასაკი რომ შეგისრულდება, პენსიასაც სრულად დაგინიშნავენ – მეთქი. ესიამოვნა, ბავშვივით გაუხარდა და არც უცდია ამ სიხარულის დამალვა. არ ვიცოდით მაშინ ერთმაც და მეორემაც, რომ საპენსიო ასაკამდეც კი ვერ მიაღწევდა და იქამდე რამდენიმე კვირით ადრე დაადგებოდა იმქვეყნიური მარადიული სამყაროს გზას, სადაც უცილობელი სასუფეველი ელოდებოდა.

სიკვდილიც სხვადასვანაირია, ეტყობა. ზოგ ისტორიულ წყაროს თუ დავუჯერებთ, ნაპოლეონმა ერთ-ერთი თავისი მძიმე ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაჭრილი მოწინააღმდეგე დიდგვაროვანი რომ ნახა, საკუთარი ქვეყნის დროშის ტარი რომ ჩაებღუჯა ორივე ხელით, პათოსით წარმოთქვა – „რა ლამაზი სიკვდილია“. სიკვდილიც ხომ განსაკუთრებული არგუნა თავის რჩეულს უფალმა თავისსავე გზაზე მიმავალს გნებავთ პირდაპირი, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით...

ვინ იცის, ვინ იქნებოდა მამა ბენიამინი, სხვა პროფესიას რომ გაყოლოდა, თუმცა ამაზე უკეთესი რა უნდა აერჩია! თავიანთი რჩეული ხალხის მსახურის ხვედრით მოავლინეს აქაურობას უფალმა და ღვთისმშობელმა, მან ღირსეულად შეასრულა ეს მისია, იყო ყველას მოძღვარი, ყველას მამაო, ყველასათვის საყვარელი და დაფასებულიც, ამ პატივს კი ვერ დაიმსახურებ, თუ სრულად არ დაიხარჯე ადამიანების კეთილდღეობისათვის.

სოსო ხარებაშვილი

კარლო (კალე) სეფაშვილის ხსოვნას

შვიდი წელია ჩვენს გვერდით ვეღარ გხედავთ, რა გულდასაწყვეტია შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, როცა წინ ბევრი სიხარული და სიცოცხლით სავსე წლები გელოდა შენს ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და მეგობრებთან ერთად. შენს შრომისმოყვარეობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა, სიცოცხლის ბოლო დღემდე. სწავლული აგრონომის დიპლომით, რიგითი აგრონომის თანამდებობიდან მეურნეობის დირექტორობამდე ღირსეულად გაიარე შენი ცხოვრების გზა, რაც დაფასებული იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი – შრომის წითელი დროშის ორდენით.

შრომის სიყვარულთან ერთად, განსაკუთრებით გამოირჩეოდი ვაჟკაცობით, მეგობრების ერთგულებით და გვერდში დგომით, მკლავიც გიჭრიდა და გონებაც, არაფერს იშურებდი იმისათვის, რომ შენს გარშემო არავინ დაეჩაგრათ. ქართული ტრადიციები, სუფრა, პურმარილი იყო შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რის გარეშეც არსებობა არ შეგეძლო. უბრალოება, თავმდაბლობა მეგობრულ ურთიერთობაში იყო შენი გამორჩეული თვისება.

შენ ღირსეულად და კაცურად იცხოვრე ამ ცოდვიან წუთისოფელში. იშვიათებს რგებიათ იმის პატივი, რომ ამ ქვეყნიდან კაცური კაცის სახელით წასულიყო, შენ კი ამ მხრივაც ერთ-ერთი გამორჩეული გამონაკლისი ხარ.

შენი გული და სახლი მუდამ ღია იყო მეგობრებისა და ახლობლებისთვის. უზომოდ თბილი და საიმედო მეგობარი იყავი ჭირსა თუ ლხინში. დროსტარებაც გამორჩეული იცოდი – ტრადიციული ქათული პურმარილი და ომახიანი თამადობა.

წახვედი და წაიღე სიკეთით სავსე გული, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა. კაცურად იცხოვრე და კაცურად გაიარე წუთისოფლის ეკლიანი გზა. ძალიან გვაკლიხარ. დასანანია, რომ შენი სახით კიდევ ერთი ღირსეული და მართალი კაცი დააკლდა ჩვენს საზოგადოებას.

წელს აპრილის თვეში 80 წელი შეგისრულდა და რაოდენ დასანანია, რომ შენი ოჯახის, შენი მეგობრების და განსაკუთრებით შენი საყვარელი შვილიშვილების გვერდით აღარ ხარ, რომელთა სიყვარულით სულდგმულობდი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

დიახ, კიდევ და კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ შენ გამორჩეული იყავი შენი განსაკუთრებული სტუმარმასპინძლობით, კეთილშობილებით, უბრალოებით, თავმდაბლობით, რაც ერთეულების ხვედრია. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

გჯეროდეს ჩვენო კარლო, რომ შენი ხსოვნა არასდროს წაიშლება.

უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სული.

ოჯახი, მეგობრები

ნანა გოგინაშვილის მონატრება



ჩვენო ნანა, შენი დაბადების დღე – 22 ივნისი ჩვენთვის ყოველთვის ტკივილით გასახსენებელია. ამ დღეს შენი ოჯახი, შენი ახლობლები ყოველთვის სევდით გაგიხსენებთ. ძალიან ძნელია უშენობა, ვიტანჯებით შენზე ფიქრით, იმით, რომ ასეთი მხიარული, სიცოცხლით სავსე უდროოდ მიებარე ცივ მიწას.

რვა წელი გავიდა ნანა შენი გარდაცვალებიდან, დრომ უეცრად გაირბინა, სულ სხვანაირად უნდა გვეზეიმა ეს დღეს, 56 წლის იუბილე, მაგრამ... ულმობელია სიკვდილი, რომელმაც არ იცის დიდი და პატარა. რაც დრო გადის, უფრო დიდია ჩვენთვის შენი მონატრება. დარდი არ გქონდეს შენი შვილის, რომელიც უკვე 25 წლისაა, ნიჭიერია, რომელიც ვიცით, რომ შენც გაგიხარდებოდა. მას მფარველი ანგელოზების სახით თავს დასტრიალებენ და არაფერს აკლებენ მამა და ბიძა თემური. ჩვენგან დანთებული სანთლები კი ყოველთვის ნათელს მოჰფენენ შენს სამუდამო სასუფეველს.

შენი ახლობლები და მეგობრები არასოდეს, არასოდეს დაივიწყებენ შენს ღიმილიან და მომხიბლავ სახეს.

დედა ჟენია, ბიძა თემურ გოგინაშვილი

შეიძლება თუ არა დაობებული პროდუქტების ჭამა

იმის გამო, რომ ობი სოკოს სახეობაა, ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მასზე ალერგია.

ალერგიული რეაქცია ხშირად არ არის სერიოზული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ობით დაბინძურებული საკვების ჭამა ფატალური შედეგით შეიძლება დასრულდეს.

გარდა ალერგიისა, არის კიდევ ერთი პრობლემა – დაობებული პროდუქტები ტოქსინებს შეიცავს და მათ შეუძლიათ მართლაც სიკვდილი გამოიწვიოს.

ყველა ობის სოკოს აქვს „ფესვები“, რომელიც აღწევს საკვებში. იმის გამო, რომ ეს ფესვები საშუალებას აძლევს ტოქსინებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გავრცელდეს მთელ საკვებში, უმჯობესია დაობებული საკვები გადაგდოთ.

არის საკვები, რომლებშიც ობი ვერ აღწევს: ზოგიერთი მაგარი ყველი, მაგარი ძეხვი, მაგარი ხილი და ბოსტნეული. დაობებული ადგილის ირგვლივ და ქვემოთ მინიმუმ ორი სანტიმეტრით მოჭერით და საკვების სუფთა ნაწილი შედგით მაცივარში.

პროდუქტები, რომლებიც დაობების შემთხვევაში აუცილებლად უნდა გადაგდოთ:

რბილი ყველი (ბუნებრივი ობის გარეშე); რბილი ხილი და ბოსტნეული; ნამცხვარი; პარკოსნები; თხილი; იოგურტები; მურაბები; ჯემები; ხორცი; პური.

გაითვალისწინეთ, რომ პური ძალიან ფოროვანია და ტოსტის გაკეთებისას ტემპერატურა არ მოკლავს მასზე ობს.

რა უნდა იცოდეთ სახელმწიფო დაფინანსებაზე, რომელიც პატარა ონკოპაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობას უზრუნველყოფს

ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა საქართველოში არსებული კლინიკის გარდა, თურქეთში, ესპანეთსა და ისრაელში იქნება შესაძლებელი და სახელმწიფო დააფინანსებს. ამისთვის კი ბიუჯეტიდან წელიწადში 30 მილიონ ლარამდე გამოიყოფა. 2021 წლის 28 ივლისს, როცა ონკოპაციენტი ბავშვების მშობლების ორგანიზაცია „ბავშვთა სიმსივნეები და სუპერგმირები“ დაფუძნდა, მის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ბავშვების დაფინანსების გაზრდა განისაზღვრა. ორგანიზაციის დამფუძნებელი მარიამ მითაიშვილი უფრო ვრცლად საუბრობს პროექტის შესახებ და აღნიშნავს იმასაც, თუ რა პრობლემის გადაჭრაა კიდევ მნიშვნელოვანი:

– 2020 წლის აგვისტოში, როცა ჩემი 9 თვის შვილი სიმსივნის დიაგნოზით იაშვილის კლინიკაში მოხვდა, პირველივე დღიდან პრობლემების და დაბრკოლებების მეტი, ფაქტობრივად, არაფერი გვინახავს. ეს მოიცავდა როგორც მორალურ, ასევე ინფორმაციულ და ფინანსურ დაბრკოლებებს.

აღმოჩნდა რომ საქართველოში მხოლოდ ერთი ბავშვთა ონკოგანყოფილება არსებობდა, მხოლოდ ერთი ექიმი იყო, ვისთანაც ჩემი შვილის მკურნალობის დაგეგმვა შემეძლო და ამავდროულად, უამრავი ანალიზი, თუ პროცედურა იყო, რომლებიც აქ არ კეთდებოდა.

წასვლისას ფინანსურმა პრობლემებმა უფრო მეტად იჩინა თავი, აღმოჩნდა, რომ ის დაფინანსება, რის იმედსაც ყველა გვაძლევდა, სულაც არ იყო რეალურად დაფინანსება. მთლიანი თანხის ალბათ 5-10%-ს თუ ფარავდა სახელმწიფოსგან მოცემული ფული.

გამოდიოდა, რომ საკუთარი ქვეყანა ვერც სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას გაძლევდა და ვერც საზღვარგარეთ უზრუნველყოფდა ბავშვის დაფინანსებას და სიცოცხლის გადარჩენას.

ჩვენი მკურნალი ექიმისგან ვერც ინფორმაციას ვიღებდით, ვერც მხარდაჭერას და კითხვის დასმაც დანაშაული იყო. მხოლოდ გულგრილობა და არაპროფესიონალიზმი დამხვდა.... სწორედ ეს იყო მოტივაცია, რის გამოც დაფუძნდა «ბავშვთა სიმსივნეები და სუპერგმირები».

დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში, 2022 წლის 2 მარტს მშობლების ინიციატივით თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის» სარჩელი ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისათვის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით. სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ბავშვების საზღვარგარეთ 100% დაფინანსება იყო!

ჯანმრთელი ძვლები ჩვენი ფეხზე მყარად დგომის ერთ-ერთი გარანტია

სამედიცინო წიგნებიდან ირკვევა, რომ მასაჟი არის მეცნიერულად დასაბუთებული, მრვალწლიანი პრაქტიკით გამოცდილი გამაჯანსაღებელი სამკურნალო მეთოდი. იგი გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნით, ორგანიზმის გასამაგრებლად მედიცინის სხვადასხვა დარგში – თერაპიაში, ქირურგიაში, ორთოპედიაში, გინეკოლოგიასა და ნევროლოგიაში კი მკურნალობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თავდაპირველად მას დაღლილობის, კუნთთა სპაზმების, ამოვარდნილობებისა და რევმატიული დაავადებების სამკურნალოდ მიმართავდნენ. იყო ჯანმრთელი, ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს არა აქვს არავითარი უსიამოვნო შეგრძნება და საექიმო გამოკვლევა ვერ აღმოაჩენს დაავადების რაიმე ნიშნებს. შეიძლება გამოკვლევების გარეშე ადამიანი ჯანმრთელად გრძნობდეს თავს, თვლი, რომ შენ ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენი უყურადღებობით ჩვენს ორგანიზმს ზიანს ვაყენებთ. სამედიცინო გამოკვლევა დასტურია იმისა, ჩვენს თავს დროულად მივხედოთ და მდგომარეობა არ გავირთულოთ. XXI საუკუნეს სახსართა დაავადებების საუკუნეს ეძახიან. ამ დაავადებამ ბევრ ხანშიშესულ ადამიანში და უკვე ახალგაზრდებშიც იჩინა თავი. მძიმე სასკოლო სახელმძღვანელოებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლის გამოც ბევრი ახალგაზრდის ხერხემალმა დეფორმაცია განიცადა. ამ დაავადებების და მისი მკურნალობის შესახებ საუბარი ვთხოვეთ ახალგაზრდა მასაჟისტს, ქალბატონ ნინო ღონიაშვილს. ქალბატონი ნინო გადმოცემით ბავშვობაში ოცნებობდა მუსიკაზე და ექიმობაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ზაზა ფანასკერტელის სახელობის კოლეჯში სამედიცინო სამკურნალო მასაჟის სპეციალობაზე. ამავდროულად დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით. 14 წელი მუშაობდა მუსიკის სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად. გარკვეულ წლებში იყო წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ბაღის გამგე. როგორც მასაჟისტი ყოველთვის მძიმე ავადმყოფების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა გვერდით იყო და ყურადღების გარეშე არ ტოვებდა მათ. ასე, რომ ქალბატონმა ნინომ ბავშვობის დროინდელი ოცნება აისრულა, – ექიმობა არა, მაგრამ ჯანმრთელობის სფეროს სამსახურშია და დღეს თავის ენერგიას გაჭირვებულ პაციენტებს ახმარს, მისგან განკურნებული პაციენტები მადლობის თქმას არ იშურებენ მისთვის. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

– ქალბატონო ნინო, ამჟამად მასაჟის სპეციალობით ხართ დაკავებული, ტერიტორიულად სად მუშაობთ და სად იღებთ პაციენტებს?

– მედიცინით დადასტურებულია, რომ ყველა ასაკში შეიძლება მასაჟი – დაწყებული თოთო ბავშვიდან დამთავრებული ხანდაზმულ ასაკამდე. მე, როგორც მასაჟის ერთ-ერთი სპეციალისტი, დღესდღეობით დაკავებული ვარ, მყავს საკმაო პაციენტები. ტერიტორიულად ვცხოვრობ ბოგირზე და მასაჟს ვაკეთებ მოთხოვნილების მიხედვით, – ძალიან რთულ პაციენტებს – (ინსულტით, ან წნევით გამოწვეული) ბინაზე მისვლით.

– ადრეც თუ გიმუშავიათ ამ სპეციალობით, რამდენწლიანი პრაქტიკა გაქვთ მიღებული?

– უკვე თოთხმეტი წელია, რაც ამ სპეციალობით ვარ დაკავებული. მანამდე დიდი პრაქტიკული ცოდნა შემძინა ექიმ მასაჟისტმა, ქალბატონმა ნურიმ, რომელიც მუშაობდა ყვარლის სპორტსკოლაში და რომელიც ამ საქმით იყო დაკავებული. დაოჯახების შემდგომ მუშაობა დავიწყე ქალაქ იაროსლავის რკინიგზის ბავშვთა პოლიკლინიკაში მასაჟისტად და იქ მუშაობამაც უფრო და უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა.

– დროული მასაჟი რა წინაპირობას უქმნის პაციენტის ჯანმრთელობას და დაგვიანების შემთხვევაში რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს იგი?

– დროულად ყველაფრის განკურნება რა თქმა უნდა, უფრო ადვილია, ასეთ შემთხვევებში პაციენტის მდგომარეობა უფრო უკეთესობისკენ მიდის. დაგვიანების შემთხვევაში კი რთულია მიაღწიო დადებით შედეგს და დროც ბევრი დასჭირდება მის განკურნებას.

– თუ ადამიანს აწუხებს ხერხემლის თიაქარი, გართულების შემთხვევაში შეიძლება რომ გაკეთდეს მასაჟი?

– ყველა ადამიანისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს ხერხემლის თიაქარი, რომელიც თრგუნავს მის ჯანმრთელობას. თიაქრები რთულია და ამაზე მასაჟის გაკეთება უნდა მოხდეს ექიმის დანიშნულებით. არის შემთხვევებიც, როდესაც ოპერაციის შემდგომაც უნიშნავენ მასაჟებს პაციენტებს

– ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები იბადებიან სამშობიარო ტრავმებით, ასევე მასიურია ადამიანებში ინსულტის და წნევის დარტყმის შემდგომი გართულებები. ასეთ დროს რამდენად ეფექტურია მასაჟი. თქვენს პრაქტიკაში თუ გქონიათ ასეთი შემთხვევები, თუ გიმკურნალიათ ასეთი ავადმყოფებისთვის და რამდენი კურსის ჩატარებაა საჭირო ბოლომდე განკურნებისთვის?

– გეთანხმებით, რომ სამშობიარო სახლებში ხშირია ტრავმებით დაბადებულთა შემთხვევები. ასეთ შემთხვევებში საჭიროა მათთვის ჩატარდეს დროული მასაჟები, ინსულტიანების და წნევის დარტყმის შემთხვევებშიც, თუ დროულად არ გაკეთდა მასაჟი, დაგვიანების შემთხვევაში უფრო რთულად და ბევრი მასაჟით შეიძლება მიაღწიო შედეგს.

– რამდენად ბევრია ასეთ დაავადებათა რიცხვი დღეს XXI საუკუნეში?

– ვერ აღვწერ, მართლაც ამ საუკუნეში იმდენად მომრავლდა ასეთ დაავადებულთა რიცხვი, რომ არა მარტო ასაკს მიღწეული, არამედ ახალგაზრდებშიც იმატა ამ დაავადებამ, ეს იქნება რადიკულიტი თუ ხერხემლის თიაქრები, რომლებსაც მკურნალობასთან ერთად მასაჟის ჩატარებაც სჭირდება.

– თუ უხერხული არ იქნება, პაციენტებისთვის სასურველი იქნება მივაწოდოთ ინფორმაცია ერთი მასაჟის ღირებულების შესახებ?

– ისეთ ვითარებაში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველაფრის გაჭირვებასთან ერთად, რა თქმა უნდა პაციენტების მკურნალობაც გაძვირდა, ყველას ვერ მიუწვდება ხელი, რომ ასეთი სეანსები ჩაიტაროს. ერთი მასაჟის ღირებულებაა 25 დან 30 ლარამდე. ავადმყოფს კი შეიძლება დასჭირდეს 15-20 მასაჟი, რაც მის საფინანსო ყულაბაზე უარყოფითად აისახება. ამიტომ, ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, პაციენტებზე ხშირ შემთხვევაში ვაკეთებთ ხოლმე ფასდაკლებას.

– რამდენადაა დადებითი შედეგის მომტანი პენსიონერებისთვის, ასაკს გადაცილებული ავადმყოფებისთვის ამ სეანსების ჩატარება?

– ყველა ასაკში დროულად გაკეთებული პროცედურა, რა თქმა უნდა, დადებითი შედეგის მომტანია, – ეს არის სარელაქტაციო-გამაჯანსაღებელი მასაჟი. ასაკოვნებში მსუბუქად ტარდება, რაც სისხლის მიმოქცევის მდგომარეობას აუმჯობესებს.

– რას ურჩევდით ჩვნს მოსახლეობას, მშობლებს, ახალგაზრდებს ასეთი დაავადების განკურნების თაობაზე? რამეთუ ჯანმრთელი ძვლები ჩვენი ფეხზე მყარად დგომის ერთ-ერთი გარანტია.

– კვლავ გეთანხმებით, რომ ჩვენი ძვლები, მართლაც ჩვენი ფეხზე მყარად დგომის ერთ-ერთი გარანტია. მშობლებს ვურჩევდი არ მიაყურადონ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვების მდგომარეობა, – როგორიცაა სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი და სხვა რომლებსაც დროული მასაჟი სჭირდება, პატარაობიდანვე ხელი შეუწყონ მათ სწორად და ჯანმრთელი პროდუქტებით კვებას, დაკავდნენ სპორტით და მიყვნენ აქტიურ ცხოვრებას. ეს კი, რა თქმა უნდა, მათი შემდგომი ჯანმრთელობის ერთ-ერთი წინაპირობა იქნება.

გმადლობთ.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

მაყვალი – სასარგებლო და სამკურნალო მცენარე

ცნობილია რომ ხილი ძალიან სასარგებლო პროდუქტია, რომელიც ჩვენ ორგანიზმს ძვირფასი სასარგებლო ნივთიერებებით ამარაგებს, ამიტომ ამ კულტურებისადმი ინტერესი მუდმივად არსებობდა და მომავლშიც იარსებებს. საჭიროა, ვიცოდეთ რომელი კულტურა რამდენ ხანს ცოცხლობს და რამდენ წელს შეძლებს სრულფასოვანი ნაყოფის მოცემას. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კენკროვანი ხილის სარგებლიანობას, მის გაკულტურებას და ფერმერულ მეურნეობებში მოყვანას.

სწორედ ახლა მაყვლის სეზონია და საუკეთესო დრო ამ შესანიშნავი კენკროვანი ხილისგან ბევრი სარგებელი მივიღოთ.

მაყვლის ნაყოფს აგროვებენ მისი სიმწიფის პერიოდში, მშრალ ამინდში, შემდეგ აშრობენ 30-40 გრადუს ტემპერატურაზე. შრობის ბოლო ტემპერატურა 60 გრადუსია. მაყვალს იყენებენ როგორც სადესერტო, დიეტურ საკვებს. მისგან ამზადებენ წვენებს, ვაჟინს, მურაბას, კომპოტს, ჯემს, მარმელადს და სხვა საკონდიტრო ნაწარმს.

მაყვლის ფოთლებს აგროვებენ ზაფხულობით მათი სრული განვითარების პერიოდში. აშრობენ ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჩრდილში, სხვენზე ან ფარდულში, კარგი ვენტილაციის პირობებში.

მაყვლის მწიფე ნაყოფი და წვენი გამოიყენება წყურვილის მოსაკლავად, ციებისა და მაღალი ტემპერატურის დროს. მწიფე ნაყოფი გამოიყენება როგორც საღაფარათო საშუალება კუჭში შეკრულობის დროს, ხოლო მკვახე – როგორც შემკვრელი.

ამ ბუჩქს აქვს სასარგებლო არა მხოლოდ კენკრა, არამედ ფოთლები და ფესვები.

ფოთლების ინფუზია გამოიყენება დიარეის, ნაწლავების დარღვევების დროს. ასევე, ბულიონი გამოიყენება როგორც ანტიჰელმინთური საშუალება. ფოთლები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამკურნალო საშუალება კანის სხვადასხვა დაზიანებისთვის: ეგზემა, წყლულები და ლიქენი.

მაყვლის ფოთოლი შეიცავს დიდი რაოდენობით ტანინებს, რაც ეხმარება უძილობასა და ნევროზების მკურნალობაში. ინფუზიას აქვს სასარგებლო გავლენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობაზე და ღვიძლის მუშაობაზე.

მაყვლის ფესვებისგან დამზადებული წამალი ხელს უწყობს თირკმლის ქვების დაშლას და მოცილებას. მისი პერიოდული გამოყენება შეიძლება იყოს შესანიშნავი პროფილაქტიკური ღონისძიება თირკმლებიდან ქვიშის მოსაშორებლად.

ნედლი ნაყოფისაგან დამზადებული ჩაი ხალხურ მედიცინაში ითვლება გამამაგრებელ და დამამშვიდებელ საშუალებად კლიმაქსური ნევროზების დროს.

ადრე, გამომშრალი ნაყოფის ნაყენები და ნახარშები გამოიყენებოდა როგორც ოფლსადენი და შარდსადენი საშუალება. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ასეთი მოქმედება გააჩნია ფოთლების ნახარშსაც, რომელსაც იყენებენ გაცივების დროს.

ნაყენი ასე შეიძლება მომზადდეს: 1 სუფრის კოვზ ფოთლებს დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გაჩერეთ 4 საათი, მიიღეთ 1/2 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ 20-30 წუთით ადრე.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ანგინის, ფარინგიტის დროს გამოსავლებად. ასევე იყენებენ სამკურნალო მაყვლის ნაყოფისაგან დაყენებულ დამტკბარ გამთბარ ღვინოს გაცივების, გრიპის, ხველების, ტრაქეიტების, ბრონქიტების, ანგინის დროს.

ფოთლების ნახარშის საფენებს იყენებენ სირსველით დაზიანებული ადგილების, ეგზემის, ქრონიკული წყლულების, ძველი ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ.

მაყვლის ფოთლების შემკვრელი თვისების გამო მის ნახარშს (1:10) იყენებენ კუჭიდან სისხლის დენის, კუჭის აშლილობის დროს. ასეთი წესით მომზადებულ ნახარშს სვამენ 1-2 სუფრის კოვზს 3-4-ჯერ დღეში. კუჭის აშლილობის საწინააღმდეგოდ გამოიყენება აგრეთვე ფოთლებისაგან მომზადებული ფხვნილები.

ბულგარელი მედიკოსების ცნობით ფოთლების ნაყენს უფრო უკეთესი თვისება აქვს ვიდრე ნახარშს. მათივე მონაცემებით მაყვლის გამომშრალი ფესვების ნახარში შესანიშნავი შემკვრელი საშუალებაა. ფესვების ნახარშის მოსამზადებლად 20 გრ გამომშრალი ფესვები 500 მლ წყალში ადუღეთ 2-3 წუთი.

ბულგარელები გვთავაზობენ შემდეგ რეცეპტებს: ორი სუფრის კოვზ ფოთლებს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ ერთი საათი. გადაწურეთ ნაყენი და დალიეთ პატარა ღვინის ჭიქით 4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ფესვებსაც ასეთივე სახით გამოიყენებენ, თუმც კი უმჯობესია შემდეგი წესით მომზადებული ნახარში: 2 სუფრის კოვზ ფესვებს დაასხით წყალი და გააჩერეთ 12 სთ (მთელი ღამე), შემდეგ ხარშეთ 3 წუთი, გააცივეთ 5 წუთი. დალიეთ 3-ჯერ დღეში 150 მლ უზმოზე.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მაყვალს აქვს დაბალი გლიკემიური ინდექსი = 25-35, რაც დიაბეტით დაავადებულებს კენკრის გამოყენების საშუალებას აძლევს.

რაც მთავარია, მაყვალს აქვს შარდმდენი თვისებები და ხელს უწყობს არტერიული წნევის დაწევას.

დიაბეტისთვის უმჯობესია კენკრა მიირთვათ ახალი, სალათებში წვენების ან სმუზის სახით. თუმცა, ფრუქტოზისა და გლუკოზის მაღალი რაოდენობის გამო, კენკრა სიფრთხილით უნდა მიირთვათ.

კენკრას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები და არეგულირებს სისხლში გლუკოზის საჭირო დონეს. დიაბეტისთვის სასარგებლოა ფოთლების, ფესვების ნახარშები, მაყვლის წვენი და ახალი კენკრა. ფოთლები ეფექტურია ჭრილობების შეხორცებაში და ანტისეპტიკურია.

ფოთოლის ნაყენი გამოიყენება ყელის დასაბანად, ჭრილობებისა და წყლულების სამკურნალოდ, რაც ხშირად დიაბეტისთვისაა დამახასიათებელი.

კენკრის სარგებელი მამაკაცებისა და ქალებისთვის ფასდაუდებელია. მოდით უფრო ახლოს განვიხილოთ მაყვლის სარგებელი და ზიანი ქალის ჯანმრთელობისთვის.

მამაკაცის სხეულისთვის, კენკრა უპირველეს ყოვლისა სასარგებლოა გულის ფუნქციის გასაუმჯობესებლად, ნერვიულობის შესამსუბუქებლად და ძილის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ასევე, კენკრა არის პროსტატის კიბოს პროფილაქტიკური ღონისძიება, მაყვლის შემადგენლობაში შემავალი ანთოციანინების წყალობით.

ზრდასრულ მამაკაცებში კენკრის რეგულარული მოხმარება განსაკუთრებით სასარგებლოა გულის შეტევისა და ინსულტის პროფილაქტიკისთვის.

ასევე, კენკრის გამოყენება დადებითად მოქმედებს მამაკაცის ჯანმრთელობაზე, ლიბიდოს მომატებაზე.

კენკრის გამოყენება რეკომენდებულია სპორტსმენებისთვის და დიდი ფიზიკური დატვირთვის მქონე ადამიანებისთვის. ათავისუფლებს კუნთების ტკივილს, ანთებას კუნთებსა და სახსრებში.

ქალებისთვის, კენკრის სარგებლობა ასევე ფასდაუდებელია. კენკრის წამალი ხსნის მენოპაუზის უსიამოვნო სიმპტომებს, ხსნის სპაზმს და ტკივილს მენსტრუაციის პერიოდში. ხშირი მოხმარება ახდენს ჰორმონალური ბალანსის ნორმალიზებას.

მაყვალი მნიშვნელოვნად ამცირებს კანქვეშა ცხიმის გამომუშავებას.

კენკრის გამოყენება აუმჯობესებს სახის ფერს, ხელს უწყობს კანის უჯრედების გაჯერებას საჭირო მინერალებით და ელემენტებით, რაც დადებითად მოქმედებს სახის კანის გაახალგაზრდავებაზე. ამიტომ, მაყვალი ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკური მიზნებისათვის.

ორსულობის დროს მაყვალი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული. შესაძლებელია ალერგიული რეაქცია, თუმცა მწვავე ტოქსიკოზით, კენკრის მჟავე გემო ხელს შეუწყობს უსიამოვნო სიმპტომების მოხსნას.

ორსულობის დროს მაყვალი სასარგებლო გავლენას ახდენს ნაყოფის ფორმირებასა და განვითარებაზე, მის ნერვულ სისტემაზე. კენკრა შეიცავს ვიტამინებისა და მინერალების სრულ კომპლექსს, რომელიც აუცილებელია ჩვილის სრული განვითარებისთვის.

ჩვილებისთვის რეკომენდებულია კენკრის მიცემა არა უადრეს 7 თვის ასაკისა. მეძუძურმა დედამ მაყვალი სიფრთხილით უნდა გამოიყენოს, რათა არ გამოიწვიოს ალერგიული რეაქციის პროვოცირება.

თქვენ უნდა დაიწყოთ რამდენიმე კენკრით, შემდეგ დააკვირდით ბავშვის სხეულის რეაქციას. გარდა ამისა, თუ ალერგიული რეაქცია არ მოჰყვება, შეგიძლიათ გაზარდოთ წონა ერთდროულად 80 გრამამდე არა უმეტეს კვირაში ორჯერ.

კენკრის კიდევ ერთი დადებითი თვისებაა ყაბზობის აღმოფხვრა. დიეტური ბოჭკოვანი აქტიურად გამორიცხავს ნაწლავის შეშუპებას.

ვინაიდან მაყვალი სამართლიანად განიხილება დაბალკალორიული კენკროვანად, ის ხშირად გამოიყენება დიეტური კვებისათვის ან სათანადო კვებისათვის. ბევრს აინტერესებს, რისი მომზადება შეიძლება ამ უგემრიელესი კენკრისგან.

სინამდვილეში, კერძების ასორტიმენტი შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს: სალათები, სოუსები ხორცის კერძებისთვის, მუსი, სმუზი, წვენი და მხოლოდ ახალი.

იდეალურ შემთხვევაში, თქვენ უნდა მიირთვათ ახალი კენკრა წონის დაკლებისთვის. მაგრამ ცვლილებისთვის მაყვალი შერწყმულია დაბალკალორიულ მჟავე რძის პროდუქტებთან, კარგად უხდება ხაჭოს, იოგურტს.

თუ ვსაუბრობთ დიეტაზე, მაშინ ის არ უნდა გაგრძელდეს 6-7 დღეზე მეტ ხანს. სათანადო კვებისათვის, კენკრის მოხმარება შესაძლებელია მუდმივად, შეზღუდვების გარეშე.

ამ დროისთვის, კერძებისა და რეცეპტების მრავალი განსხვავებული ვარიაცია არსებობს. ეს არის ჯემი და სიროფი, ჯემი, მარმელადი და რათქმაუნდა, კონსერვები. ჯემი მზადდება უბრალოდ კენკრისგან და შერეულია ლიმნით, ლიმონმჟავით ან კომშით, რათა ხაზი გაუსვას კენკრის ორიგინალურ გემოს.

თანამედროვე ინდუსტრია აწარმოებს მზა ჯემს. როგორც წესი, ის გამოიყურება მადისაღმძვრელად, კარგი სუნი აქვს და შესანიშნავი გემო აქვს. მაგრამ ხშირად არსებობს ეჭვი ამ პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებით.

უფრო ხანგრძლივი შენახვისა და გემოს გასაუმჯობესებლად, მწარმოებლები ამატებენ კონსერვანტებს, არომატებს, საღებავებს და სხვა არაჯანსაღ დანამატებს.

ეჭვგარეშეა, რომ ხელნაკეთი ჯემი მნიშვნელოვნად აღემატება ქარხნის ჯემს ხარისხითა და სასარგებლო თვისებებით.

ჯემის სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, თავიდან უნდა იქნას აცილებული ხანგრძლივი დუღილი. ტემპერატურის ხანგრძლივი ზემოქმედებით ვიტამინები განადგურებულია და ჯემის სარგებლობა მცირდება. ნაჩვენებია მაყვლის ჯემის გამოყენება მწვავე რესპირატორული ინფექციების და პნევმონიის დროს.

სხვა საკითხებთან ერთად, მაყვლის ჯემი, სათანადოდ მომზადებისას, ხელს უწყობს სისხლძარღვების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, აქვს ანთების საწინააღმდეგო და სიცხის დამწევი მოქმედება.

კენკრა ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკური საშუალებების წარმოებაში. კენკრა შეიცავს დიდი რაოდენობით ძვირფას ვიტამინებს, მიკროელემენტებს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს, კენკრის ნიღბები ახდენს სახის კანის ნორმალიზებას, ათავისუფლებს შეშუპებას და ანთებას.

მაყვალს აქვს ჭრილობის სამკურნალო თვისებები, ამიტომ ფართოდ გამოიყენება დერმატიტისა და ეგზემის სამკურნალოდ.

კენკრის შემცველი კოსმეტიკა ასუფთავებს ეპიდერმისის კერატინიზირებულ ფენებს, უბრუნებს კანს ბზინვარებას. შესაფერისია ყველა ტიპის კანისთვის, ხელს უწყობს ფორების განმენდას.

კოსმეტიკური მიზნებისათვის გამოიყენება მცენარის ყველა ნაწილი. გარუჯვისა და შემკვრელი თვისებების წყალობით, მაყვლის ექსტრაქტის პროდუქტები ხელს უწყობს აკნეს წინააღმდეგ ბრძოლას. მაყვლის ექსტრაქტი ხშირად გვხვდება ანთების საწინააღმდეგო გამწმენდებსა და ტონერებში.

მაყვლის ფოთლის და ფესვის ექსტრაქტი ასევე ხშირად გამოიყენება თმის მოვლის კოსმეტიკაში. ასევე, მაყვლის თესლის ზეთი ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში შამპუნების, მზისგან დამცავი საშუალებების, ზეთების თვითგამორკვევისთვის, ასევე საპნები პარფიუმერიაში და დეკორატიული კოსმეტიკის წარმოებაში.

აღსანიშნავია,რომ მწიფე კენკრას აქვს ნაწლავების შემკავებელი ეფექტი, ხოლო მოწიფულ კენკრას აქვს ზუსტად საპირისპირო ეფექტი.

არ არის რეკომენდებული მაყვლის გამოყენება თირკმლის მწვავე დაავადების დროს.

შეზღუდული და სიფრთხილით შეგიძლიათ მიირთვათ მაყვალი მაღალი მჟავიანობის მქონე ადამიანებმა (დაახლოებით 150 გ / დღეში).

ახალი კენკრის ნაცვლად, წვრილი ნაწლავის დაავადებების მქონე ადამიანები მაყვლის წვენს სვამენ.

მაყვლის ჩაი აუმჯობესებს მეტაბოლურ პროცესებს ორგანიზმში და ღირებულია თავისი უნიკალური ვიტამინის თვისებებით.

ხელს უწყობს „ცუდი“ ქოლესტერინის დონის შემცირებას.

აძლიერებს სისხლძარღვებს.

აქვს თვისებები, რათა შეამციროს ცხელება და სხვადასხვა წარმოშობის ანთება.

მას აქვს დადებითი გავლენა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე.

მას აქვს ანტიჰელმინთური და ანტიმიკრობული თვისებები.

თუ ადრე არ იყენებდით მაყვალს, მაშინ უნდა დაიწყოთ თანდათანობით, რათა თავიდან აიცილოთ ალერგიული რეაქციები.

კენკრის არჩევისას მთავარი წესი უნდა მიეცეს სიახლეს და სიმწიფეს. კენკრა უნდა იყოს თანაბრად ფერადი, მკვრივი თანმიმდევრულობით გაფუჭების ნიშნების გარეშე.

წითელი ან თეთრი მარცვლების მქონე კენკრა შეიძლება იყოს მჟავე.

თქვენ უნდა შეინახოთ კენკრა მაცივრის ქვედა ნაწილში, არა უმეტეს ხუთიდან ექვს დღემდე.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

როგორ ვიკვებოთ ზაფხულში, რომ შემოდგომას ძლიერი ორგანიზმით შევხვდეთ

ადამიანის ორგანიზმს ზაფხულში ყურადღება ძალიან სჭირდება. ზაფხული, არა მარტო უკიდეგანო გათავისუფლების, ორგანიზმისათვის ამოსუნთქვის გზაა, ყოველდღიური რუტინის გათვალისწინებით, არამედ ძალიან წინდახედული სამზადისია, რომლითაც ორგანიზმი შემოდგომის გარდამავალ ეტაპს უნდა შეხვდეს. ჩვენი ზაფხული ბევრად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება ზამთარი. ორგანიზმის წვრთნა და გაკაჟება, ადექვატური ყოველდღიური რეჟიმის გამოყენება, იქნება ეს ძილი, თუ აქტივობა, კომუნიკაციები, თუ მავნე ჩვევებთან დამოკიდებულებების შეცვლა, კვების შეხამება წყლის შესაბამის მოხმარებასთან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მარაგია, რომელიც შემოდგომის უსაფრთხოდ გავლაში დაგვეხმარება და ბევრად უფრო მომზადებულს შეგვახვედრებს ზამთარს. პირველ რიგში, მთელი ზაფხულის განმავლობაში ორგანიზმი კარგად ჰიდრატირებული, წყლით ადექვატურად მომარაგებული უნდა იყოს. ამისთვის შემდეგი პრინციპი უნდა დავიცვათ – კილოგრამ წონაზე 30-35 მილილიტრი წყალი უნდა მივიღოთ. ეს საბაზისო მონაცემია. ანუ, ჩვენს წონას ამ რაოდენობაზე ვამრავლებთ და ვამატებთ, თუ მაღალი ტემპერატურის პირობებში გვიწევს ყოფნა, თუ აქტივობას გავზრდით, შედარებით ცხელ შხაპს ვიღებთ, საკვების შემადგენლობაში მეტი მარილია და ასე შემდეგ. ყველა ფაქტორს ცალ-ცალკე ულუფა წყალი ემატება. წამალი შეიძლება ისე არ უხდებოდეს ზაფხულსა და ჩვენს ორგანიზმს, როგორც მაწონი უხდება, ამიტომ ესეც გასათვალისწინებელია. კვებისას დღიური რაციონის გადანაწილების მთავარი პრინციპი, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება. რაციონის ნახევარი ბოსტნეულისა და ხილისაგან უნდა შედგებოდეს და ზაფხულში ეს წილი შეგვიძლია, თამამად გავზარდოთ, განსაკუთრებით სეზონური ბოსტნეულის ხარჯზე. ისე, რომ მარცვლეულ-ბურღულეულიც ყოველდღიურად გამოვიყენოთ. მსუბუქი ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, მაგალითად, ფრინველის ხორცი, თევზი, თხილეული, სხვადასხვა სახის თესლი, მცენარეული ზეთები – ეს ის კომბინაციაა, რომლებიც საკვებს ძალიან ამსუბუქებს. ცხადია, ყველა ულუფაში ბოსტნეულთან ერთად. ამავე დროს, ჩვენი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის წონასწორობას მაქსიმალურად აღადგენს და შეამზადებს ბევრად უფრო რთული სეზონებისათვის, როგორებიცაა შემოდგომა და ზამთარი.

ალკოჰოლი, გაზიანი სასმელები, ადვილად შეთვისებადი ნახშირწყლები, უხვად მარილით დატვირთული საკვები, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში წყალს შეაკავებს, უცნაური ცხიმები – ეს ყველაფერი მაღალი რისკია. მაგრამ, განსაკუთრებით რამდენიმე პროდუქტზე მინდა გესაუბროთ. მაგალითად, სხვადასხვა სახის სამარაგო პროდუქტები საყურადღებოა. თუ ის ბოსტნეული, რომელიც მიწასთან ახლოს იზრდება, მაგალითად, ბადრიჯანი, წიწაკა, პომიდორი, კიტრი, სხვადასხვა სახის მწვანილი შინ მომზადებულ კონსერვში აღმოჩნდება, ეს ბოტულიზმის განვითარების რისკს ავტომატურად ზრდის. თუ ჩვენ არასაკმარისი შაქრით მოვამზადეთ ხილისაგან კომპოტები, ბოტულიზმის განვითარების რისკი ასეთ დროსაც იზრდება. შებოლილი თევზისა და თევზის სხვადასხვა ვერსიის ლუდთან კომბინაცია სეზონურად განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე. რატომღაც ითვლება, რომ ზაფხულს ლუდი და თევზი ერთად უხდება. თუმცა, ასეთ დროს ბოტულიზმის რისკის არგათვალისწინება ჩვენს ორგანიზმს არ უხდება. შებოლილი, არასაკმარისად დამუშავებული თევზი შეიძლება, სწორედ ბოტულიზმის წყარო გახდეს.

დამტკიცებული ფაქტია, რომ თაფლი შეიძლება ბოტულიზმის წყარო გახდეს. ის უჰაერო, ანაერობული გარემო, რომელიც თაფლში იქმნება, ბოტულიზმის გამომწვევი სპორებისთვის ძალიან კარგი სივრცეა და განსაკუთრებით ახალშობილებსა და ჩვილებში მისის განვითარების რისკი იზრდება. ამიტომ, თაფლის უსაფრთხო წარმოება და უსაფრთხოდ გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

პოეზიის სამყაროში

მე და შენ

კვლავ იხშობოდა სინათლე სახლში
ყველა კუთხეში იდგა „პიანო“,
სტუმრად იყავი შენ ჩემთან მაშინ
და მე ვუკრავდი – ფორტეპიანოს.

მახსოვს, თვალებში ჩაგვიდგა სხივი
შენთვის ვუკრავდი – „სონატას მთვარის“,
მე დავუძახე უეცრად დედას
როცა შენ მკერდზე მომადე თავი.

კლავიშს ასხლიტე ჩემი ხელები
და სათითაოდ თითებზე მკოცნე,
თითქოს ვიდექი სადღაც სცენაზე
და ვუძღვებოდი – სასწაულ კოცნერტს.

გააგრძელეო – მითხარი წყნარად
ვერ გაიგონა ძახილი დედამ.
„ქალწულებრივი“ სიმორცხვე მკლავდა
მგონი ეს გული ახლაც კი კვდება.

რამ დაგვაშორა, დავეძებ მიზეზს
შენ სხვა ქალაქში წასულხარ თურმე,
შემომეჩვია მე იმის მზერა,
სევდა, ნაღველი, ფერები მრუმე.

მე ისევ ვუკრავ ფორტეპიანოს,
ისევ თბილია ჩემი თითები,
–რა ვქნა, ეს გული ისევე გიხმობს
შენი ზღაპრით და შენი მითებით.

შევცვალე ახლა რეპერტუარი
ამ გულს სწვავს – „მენდელსონი“ და „ბრამსი“,
და არც კი იცი, მთელი ცხოვრება
როგორ მიყვარდი და როგორ მწამდი!

სინათლის სხივი ჩემს ოთახს ავსებს,
ყველა კუთხეში დგას კვლავ „პიანო“,
მოდი, გამითბე ისევ თითები,
რომ კვლავ დავუკრა – ფორტეპიანო!“

იდუმალი ქალი

მიძღვნა კ.ს.–ს

შენ ვინ გაღირსებს ბროლის მკერდს
ანდა ჩემს მკლავზე დაწოლას,
მე ვერ გავყვები ვერაფრით
კაცს „ხეპრეს“, თანაც ნაცოლარს.

განა სოფელი არ მიყვარს
ან სოფლელი მეჯავრება?
ეგ „უნდილობა“ მაწუხებს
და ფიქრთა შემოჯარება.

დამინახავ და ჟინი გკლავს
და გისველდება ბაგები,
ქალს მუდამ ალერსი უნდა
და მოკიდება გაგებით.

ვარ გაზაფხულის ყვავილი
და ყვავილადვე დავრჩები,
მზისა ვარ, მზესავით ვათბობ
და არ დავდივარ ჩადრებით.

თუმცა ნაზიც ვარ, სათუთიც
ვიცი, გკლავს ჩემი მშვენება,
იქნება ბევრიც გინდოდა
და ვერ ავყევი შენს ნებას.

ცვარ-ნამი გულმკერდს მისველებს
გვირგვინი დავწან იების,
შენ ჩემი ცქერით ნუ ტკბები,
აღარაფერში მჭირდები.

დღეს მწვანე კაბა მაცვია,
ხვალ – ჭრელით შევიმოსები,
იცი, რომ გულს მიხარებენ
ლექებს მიძღვნიან მგოსნები.

ან გული როგორ არ დამწყდეს,
გელოდი რამდენს მოთმენით,
მთებშიც კი არ წამიყვანე
მგონი – უღვინოდ ვლოთდები.

ვერ დამაკვირდი ეტყობა,
ამრიე სხვაგვარ ქალებში,
აღარ მეგონა უშენოდ
ამ დარდს თუ გავიქარვებდი.

კიდვ ერთს გამოგიტირებ,
ერთხელ ავირევ გონებას,
დარდით, ფიქრით და ოცნებით
ალბათ ვაჯობებ მგოსნებსაც.

შენთვის თოჯინა ვიყავი
და ცელქი ნიავ-ქარია,
ახლა სად არის ის ქალი
შენ რომ გხიბლავდა ძალიან!

აღარ გაღირსებ ბროლის მკერდს
და არც ჩემს მკლავზე დაწოლას,
შენი ცოლობა აღარ მსურს,
თუმც მოგყვებოდი „ნაცოლარს“.

გუშინ კინაღამ წამიღო ქარმა...

გუშინ კინაღამ წამიღო ქარმა
დღეს ქარს მე თვითონ გავუღე ბინა,
მე, რუსთაველის გენიის ქალმა
ამ ცხოვრებაში ვერ გაიბრწყინა.

ველარ დავუწერ – ნუ გაიკვირვებთ
რუსთაველსა და ბაირონს ლექსებს,
ველარაფერში ვერ ვპოვე შვება
ჩემი ლექსებიც „ვთათხე“ და „ვგესლე“.

და მაინც მიყვარს წვიმების მერე
მომჟაო სუნი რომ ასდის ბალახს,
და ჩემი სუსტი, თეთრი ხელებით
რომ მოვაშორებ წუმპეს და ტალახს.

ხვალ აირევა ამინდი ისევ
და მივაკითხავ მე თვითონ ქარებს
რას ვიზამთ, ზოგჯერ ასეც კი ხდება
– ან რას გაუგებთ მელექსე ქალებს?!

ისევ ბალახის სურნელი მათრობს
სიხარულისგან ცას შევწვდი ხელით,
ნეტავ რას დარდობს, ძირს დავარდნილი
გაყვითლებული ფოთოლი ხმელი?!

– შენც გაქვს დარდები, რას დარდობ ნეტავ
მე ახლა შენზე ვწერ ლამაზ ზღაპარს,
მინდა გავერკვე კარგად ვინა ხარ,
მე შენს დოსიეს მთლიანად გპარავ.

და მაინც ახლა, მარტოობის ჟამს
„ჰაინეს“ ლექსებს ვკითხულობ ხშირად,
ის სიყვარული, რაც ახლდა პოეტს
არა და არა! არ მიღირს ჩირად.

არა! არ მინდა არც სიყვარული
გადავაბიჯო ამ გორებს იქნებ,
არც აღზევება არ მინდა, არა
და ნურც ჰაინეს ლექსებს ნუ მიქებთ.

ვსევდიანობ და... აღარ ჩანს არც ცა
დედამინასაც ვიღაცა უტევს,
თუ დამებედა ტკივილი სულის
დღეს დიდ მაესტროს – მოვუსმენ „შუბერტს“.

გუშინ კინაღამ წამიღო ქარმა
დღეს ქარს მე თვითონ გავუღე კარი,
ნუ განიკითხავთ, სევდიანია
დღეს რუსთაველის გენიის ქალი!

ნათია სირაძე-კახიძე

ვაქცინაციით შესაძლებელია პაპილომა ვირუსით ინფიცირების პრევენცია

ადამიანის პაპილომა ვირუსი ეწოდება ვირუსთა ჯგუფს, რომელიც იწვევს კანის ან ლორწოვანი გარსების (პირის ღრუს, საშვილოსნოს ყელის) დაინფიცირებას. ვირუსის ყველაზე გავრცელებულ სახეობებს შეუძლია ისეთი ვერაგი დაავადების გამოწვევა, როგორიც არის საშვილოსნოს ყელის კიბო. დაინფიცირება ხდება სქესობრივი გზით, დაინფიცირებულ არესთან კონტაქტისას. საშვილოსნოს ყელის კიბო ყველაზე გავრცელებულია ქალის ავთვისებიან სიმსივნეებს შორის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებით ევროპის რეგიონში 67 000-ზე მეტ ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი, მათგან 28 000 გარდაიცვალა.

ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაინერგა 2006 წლიდან, თავდაპირველად ავსტარალიაში, დანიაში, ბელგიაში, გერმანიაში, შვედეთში, აშშ, და ახალ ზელანდიაში. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა აცრის შედეგად აპვ (ადამიანის პაპილომა ვირუსი) ინფექციის სწრაფი, 90% მდე შემცირება. ასეთმა შედეგებმა განაპირობა ის, რომ გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი სადაც დაინერგა ვაქცინაცია.

2017 წლის მარტის მონაცემებთ 71 ქვეყანამ შეიტანა ვაქცინაცია იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში. თავდაპირველად იცრებოდნენ 9 – დან 13 წლამდე ასაკის გოგონები, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილების და სათანადო კვლევების ჩატარების შემდეგ ვაქციანაციას დაქვემდებარებული პირთა ასაკი გაიზარდა ჯერ 18, ხოლო შემდეგ 26 წლამდე.

კვლევები აჩვენებს, რომ გამოკვლეულ, ვაქცინირებულ პირთა თითქმის 100% – ს უვითარდება საკმარისი რაოდენობის ანტისხეულები. ვაქცინის დამცველობა ხანგრძლივია. ვაქცინა გავლენას არ ახდენს ნაყოფიერებაზე.

არსებობს ვაქცინის სამი ტიპი, თვითეულმა ვაქცინამ ბაზარზე გამოსვლამდე, კლინიკური კვლევების სტადიაში უსაფრთხოების და ეფექტურობის საფუძვლიანი შემოწმება გაიარა. ვაქცინაციით 100% – ით შესაძლებელია ინფიცირების პრევენცია. არასწორია გავრცელებული ინფორმაცია, რომ ვაქცინა შეიცავს ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებს.

საქართველოში აპვ ვაქცინაცია დაინერგა 2019 წლიდან. ჩვენ ქვეყანაში მოწოდებულია ვაქცინა „გარდასილი „, რომელიც შეტანილია იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში.

9-13 წლის ასაკის გოგონები იცრებიან ორჯერადად ექვსი თვის ინტერვალით, 13-26 წლამდე ასაკის პირები სამჯერადად.

ხშირად ისმება კითხვა: აქვს თუ არა ვაქცინაციას გვერდითი მოვლენები? სხვა არა ერთი ვაქცინის მსგავსად, შესაძლებელია ინექციის ადგილის სინითლე, შეშუპება, მტკივნეულობა, რომლებიც რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში უკუგანვითარდება. ვაქცინაციის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია აპვ-თი დაინფიცირების რისკის და ვაქცინაციისაგან მიღებული პოტენციური სარგებლობის შედარება.

თუ გადავხედავთ გასული წლის მონაცემებს, ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

აპვ ვაქცინაცია ჩაუტარდა ასაცრელი კონტიგენტის 50 % – ს (უნდა აცრილიყო არანაკლებ 90%). ეს მონაცემი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შეფასდა ერთის მხრივ კორონა ვირუსის პანდემიის არსებობით, ხოლო მეორეს მხრივ მოსახლეობის პაპილომა ვირუსით გამოწვეული შესაძლო ზიანის ცოდნის ნაკლებობით.

ჯანდაცვის მინისტრის 2023 წლის 13 ივლისის N 52/6 ბრძანებით ცვლილება შევიდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში, კერძოდ აცრებს დაემატა პაპილომავირუსის აცრა 10, 11 და12 წლის ასაკის ბიჭებში. აცრები უფასოდ ტარდება იმუნიზაციის ყველა კაბინეტში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ადამიანის პაპილომა ვირუსით გამოწვეული დაავადებების განვითარების საფრთხე, ნუ დატოვებთ შვილებს რისკის ქვეშ და მიაკითხოთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ამცრელ კაბინეტებს ვაქცინაციისათვის.

აცრა ყველა ასაკში უფასოა.

ქეთევან სეფაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი იმუნოლოგი

ამ უბრალო ნივთებით ყოველდღიურად ვაზიანებთ ჩვენს იმუნიტეტს

როდესაც ყოველდღიურობაზე ვსაუბრობთ, საკვებს ძალიან ხშირად პლასტმასის ნივთებში ვინახავთ, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაგვაქვს. ზოგიერთ შემთხვევაში, საკვებ პროდუქტებს პოლიეთილენის პარკით, ან პლასტიკური მასის სხვა ნაწარმით შეფუთულს პირდაპირ მდუღარე წყალში ვდებთ, მიკროტალღურ ღუმელში ვათავსებთ. ეს პროდუქტები ყველა ასაკობრივი ჯგუფის ყოველდღიური მოხმარების საგნებად იქცა. დაწყებული საწოვარიანი ბოთლიდან, დამთავრებული დამხმარე ჭურჭლით, ყველა პლასტმასისაგანაა დამზადებული და თითქოს, ერთი შეხედვით, სრულად აკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებებს. მეორე მხრივ, არსებობს საღი აზრი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებას გვთხოვს. დადგენილია, როდესაც პლასტმასის ბოთლით წყალს ვიყენებთ, მავნე ნივთიერებების ნაკრები უფრო მარტივად აღმოჩნდება პროდუქტში, მაგალითად, მაღალი ტემპერატურის, გაცხელების შემთხვევაში, ერთჯერადი ჭურჭლის მრავალჯერ გამოყენების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე წარმოება პლასტმასის ნივთებში მრავალფეროვანი ნაერთების ჩართვას გულისხმობს. აქ არის ბისფენოლ-A, ფტალატები, პოლიეთილენიც და პოლიპროპილენიც. პოლიეთილენი და პოლიპროპილენი პროდუქტს შეამსუბუქებს და ამიტომაცაა პლასტმასის ნივთები ბევრად უფრო მსუბუქი. ფტალატების შემთხვევაში ნივთს მეტ გამძლეობასა, მდგრადობასა და ელსატიურობა, ასეთი ჭურჭელი უფრო დამყოლია.

თუ ჩვენ, ერთი მხრივ, ტემპერატურას გავითვალისწინებთ და მეორე მხრივ, პროდუქტს, რომელსაც მსგავს ჭურჭელში ვათავსებთ – წყლისთვის განკუთვნილი პლასტმასის ბოთლი ერთჯერადად გამოყენების შემდეგ აუცილებლად უნდა გადავაგდოთ. თუ მის ხელმეორედ გამოყენებას გადავწყვეტთ, რისკები უკვე გაზრდილია, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პროდუქტისთვის. მაგრამ, თუ მას ტყემლისთვის, ან ღვინისთვის გამოვიყენებთ, რომლებიც, თავისთავად, ცოცხალი პროდუქტებია და ფერმენტაციას განიცდის, კიდევ უფრო მაღალია იმის რისკები, რომ საბოლოო პროდუქტში უფრო მეტი პოლიპლასტიკს ვიღებთ. უფრო მეტი მავნე ნივთიერება აღმოჩნდება ჯერ საკვებში და მერე ჩვენს ორგანიზმში.

დადგენილია, რომ მიკროპლასტიკს შეუძლია, ჩვენი მიკრობიომი და მიკრობიოტა დააზიანოს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მიკტოპლასტიკს შეუძლია, ჩვენი იმუნიტეტი დააზიანოს, შეცვალოს ჩვენი იმუნური, დაცვითი სერვისები.

მაშინაც კი, თუ წყალს ადეკვატურად მივიღებთ, თუ ის დაცული არ არის, საკუთარ თავს ვერ ვიცავთ. ასევე, ყველა პროცესირებული პროდუქტი მიკროპლასტიკის მოქმედების ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს. პროცესირებული პროდუქტები თავად შეიძლება აძლიერებდეს ამ ნივთიერებების შეწოვასაც.

ზეთი მაცივარში არ უნდა შევინახოთ, მაგრამ თუ მას მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ, მაღალი ტემპერატურის ფარგლებში დავტოვებთ, ასეთ შემთხვევაში, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს, თუ მაღალი ტემპერატურის პირობებში პლასტმასის ბოთლში ინახავთ, ეს შეიძლება ძალიან მაღალი რისკი იყოს იმისა, რომ საზიანო ნივთიერებები აღმოჩნდეს პროდუქტში.

სოფელში დასვენება იდეალური ვარიანტია

პედიატრი თამარ ობგაიძე იმის შესახებ საუბრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის სუფთა ჰაერზე დასვენებას, აქვს თუ არა სოფლად წაყვანას ისეთივე ეფექტი, როგორსაც ცნობილი კურორტები იძლევა და რა შეიძლება გაიკეთონ იმ მშობლებმა, რომლებსაც შვილები ქალაქიდან ვერ გაჰყავთ:

– რას ველით, როცა ბავშვი კურორტზე, თუ სოფლად მიგვყავს? პირველ რიგში, ეს არის სუფთა ჰაერი, რაც დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში, პრობლემურია. ასევე, უსაფრთხო გარემო, კარგი საკვები, შეძლებისდაგვარად, სასუქებისა და პესტიციდების გარეშე და განვითარების ხელშეწყობა. ხშირად მშობლებს ახალშობილებზე აქვთ ხოლმე შეკითხვა, რამდენად შეიძლება წაყვანა. ასეთი აკრძალვა, რომ არ წავიყვანოთ, არ არის, თუმცა ახალშობილობის პირველ დღეებში, სანამ ადაპტაციის პერიოდს გაივლის, ჯობს, 1-2 კვირა მაინც იყოს იმ გარემოში, სადაც დაიბადა. ადრე გვასწავლიდნენ, რომ 21 დღე დასვენება იყო საჭირო – პირველი კვირა გარემოსთან ადაპტაციისათვის, ხოლო დარჩენილი 2 კვირა დასვენებისთვის. თუმცა, თანამედროვე ლიტერატურას რომ გადახედოთ, იქ ასეთი მიდგომები არ არის. რამდენიმე დღით მაინც რომ გაიყვანოთ ბავშვი დიდი ქალაქიდან სუფთა ჰაერზე, სადაც ბევრი ჟანგბადია, მნიშვნელოვანია. ბევრი ჟანგბადი კი ყველაზე მეტად მთიან ადგილებში, მთიან კურორტებზეა. მთავარია, სუფთა ჰაერი და უსაფრთხო გარემო იყოს – ამ პირობების გათვალისწინებით, ზღვაზეც შეიძლება წავიყვანოთ ბავშვი და მთაშიც.

რამდენად შეუძლია სოფელს ცნობილი კურორტები ჩაანაცვლოს:

– არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებსაც ცნობილი, პოპულარული კურორტები მოსწონთ და იქ დასვენებისა და გაჯანსაღების მართლაც ძალიან კარგი საშუალებებია. მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ სოფელი, თუ იქ სუფთა ჰაერია, მით უმეტეს, თუ მთიან ადგილასაა, ბავშვის დასვენებისა და გაკაჟებისათვის იდეალური ვარიანტია. მშობლები ხშირად მეუბნებიან: «სოფლად მცხოვრები ბავშვები უფრო ჯანმრთელები არიან და უფრო იშვიათად ავადობენო.» იცით რატომ? – ე.წ. ჰიგიენური თეორია არსებობს, რომელიც ამბობს, რომ ადრეული ასაკიდანვე რაც უფრო ხშირად აქვს ბავშვს სხვადასხვა ანტიგენთან, ცხოველთან, ბაქტერიასთან შეხება, უფრო ჯანმრთელადაა. რასაკვირველია, ჰიგიენური ნორმები აუცილებლად უნდა დავიცვათ და არავის მოვუწოდებ, რომ ხელი არ დაიბანონ, ან ბავშვს ჭუჭყიანი საკვები მისცენ. ე.წ. ჰიგიენურ თეორიას ბევრი მომხრე ჰყავს. სოფლად დასვენების იდეალური პირობებია. მიეცით ბავშვებს საშუალება, ირბინონ, მზის სიკეთეები გამოიყენონ, მიწას, ბალახს შეეხონ, ჰქონდეთ ცხოველებთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით. სოფლად უფრო ადვილია, სუფთა საკვები პროდუქტი ვიპოვოთ. ამიტომ, თუ გაქვთ საშუალება, რომ ბავშვი სოფლად წაიყვანოთ, ეს იდეალური ვარიანტია და არაჩვეულებრივად შეცვლის ძვირად ღირებულ კურორტებს, რომლებზეც ძალიან ხშირად გვწყდება ხოლმე გული.

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ბავშვი ახალ გარემოსთან მარტივად ადაპტირდეს:

– პირველ რიგში, მისი საყვარელი სათამაშოები და ის ნივთები წაიღეთ, რომლებიც მისთვის ძალიან ძვირფასია. თუ ის სხვა ოთახში იძინებს, მარტო არ დატოვოთ, სანამ არ დაიძინებს. დაახლოებით, ერთ კვირაში ის არაჩვეულებრივად ადაპტირდება. თუ მშობელი სოფლად ბებია-ბაბუასთან აპირებს შვილის ჩაყვანას და დატოვებას, ბავშვმა ამის შესახებ აუცილებლად წინასწარ უნდა იცოდეს. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ბავშვისთვის სენსორული განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველა გრძნობათა ორგანოს განვითარებას ნიშნავს. ბუნებასთან კონტაქტი კი ამისთვის არაჩვეულებრივ საშუალებას იძლევა.

თუ მშობელს ბავშვი ქალაქიდან ვერ გაჰყავს:

– ხანგრძლივად სუთა ჰაერზე გაჩერება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მაგრამ, თუ ამის საშუალება არ არის, ქალაქის რეკრეაციული ზონები, ტბები იდეალური ვარიანტია მომუშავე მშობლებისათვის, რომლებსაც პატარები ქალაქიდან ვერ გაჰყავთ.

სოსო ფუტკარაძეს 83 წლის იუბილე მიულოცეს

კოტე მარჯანიშვილის სახელობის ყვარლის სახალხო თეატრის სცენაზე, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და დამსახურებული ქორეოგრაფის, ოთარ (სოსო) ფუტკარაძის 83 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ოთარ (სოსო) ფუტკარაძე არის ყვარლის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის საპატიო წევრი, ქართული ქორეოგრაფიის რაინდის ორდენისა და მრავალი ჯილდოს მფლობელი.

ღონისძიების მონაწილეებმა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები მიუძღვნეს დამსახურებულ მასწავლებელს და დაბადების დღე მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დამსახურებულ ქორეოგრაფს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა საპატიო სიგელი გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

მადლობა ყვარელს და ყვარლელებს!

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს დღეს!

მეტად სასიამოვნოა, რომ ყვარელმა სწორედ 26 მაისს ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეების ხსოვნას პატივი მიაგო, ჩატარდა დაუვიწყარი ღონისძიება.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყვარლის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს თავის გუნდთან ერთად და ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ილია მზექალაშვილს საკრებულოს აპარატთან ერთად, რომელთა ინიციატივით შედგა ეს დღე.

განსაკუთრებული მადლობა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილსა და მის პროფესიონალ გუნდს ღონისძიების სრულფასოვანი წარმართვისა და ჩვენი ოჯახის თანადგომისთვის.

ღონისძიება ჩატარდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ შორენა სეფაშვილსა და ილიას მუზეუმის თანამშრომლებს.

დარბაზი სავსე იყო თბილისიდან ჩამოსული სტუმრებითა და ყვარლელი მასპინძლებით. ღონისძიება გახსნა ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა, რომელმაც გამოხატა დიდი პატივისცემა და თანადგომა ჭავჭავაძეთა მიმართ. საინტერესოდ ისაუბრა I საჯარო სკოლის მენტორ პედაგოგმა ქალბატონმა მაია ბურდიაშვილმა. ღონისძიებას უძღვებოდა ყვარლის კულტურის ცენტრთან არსებული ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი, ღვანლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი ზეინაბ ჭიჭიკოშვილი. მან, ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობასთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ყვარლელებისა და ჭავჭავაძეების ურთიერთობა, აღნიშნა ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის საქმეების დამფინანსებელი, ხშირ შემთხვევაში, დიდი ნიკო ჭავჭავაძე იყო. შემდეგ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, აწ განსვენებული დირექტორ ილო ბეროშვილისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ტაძრის დეკანოზ მამა ბენიამინთან ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეების ურთიერთობის შესახებ.

ლიტერატურული სალონის წევრებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია: „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!“ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ზურაბ ჭავჭავაძე როგორც არა მარტო, ეროვნული მოღვაწე, არამედ, როგორც უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი. ასევე, ახალგაზრდებმა წაიკითხეს ზურაბისადმი მიძღვნილი ლექსები.

ბედნიერი ვარ, რომ ყვარელში არსებობს ასეთი სალონი. მაქვს პატივი ამ სალონის წევრობისა. სიამოვნებით ვესწრები მათ ღონისძიებებს. სალონის მიზანი ახალგაზრდებისთვის არა მარტო განათლების მიცემაა, არამედ საკუთარი თავის შეცნობის უნარის გამომუშავებაა, რათა მომავალში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში. დავით გურამიშვილი ამბობს: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობრად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

ქალბატონო ზეინაბ, უღრმესი მადლობა ამ დაუვიწყარი დღისთვის! არ ვიცი, როგორ გამოვხატო თქვენ მიმართ სიყვარული და პატივისცემა!

ღონისძიებას ალამაზებდა საოცარი მუსიკა და შესანიშნავი სიმღერები: ანსამბლ „ხეუროს“ წევრებს, მათ ხელმძღვანელს ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, ანსამბლ „ნანინას“, გოგონების გუნდ „თოლიას“ და უნიჭიერეს გიორგი ბენდიანიშვილს – განსაკუთრებული მადლობა ჩემო ძვირფასებო!

დარბაზს სიტყვით მიმართა ყვარლის მერის მოადგილემ, ბატონმა გიორგი ქოქიაშვილმა, მან ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და 26 მაისი მიულოცა ყვარელსა და მთელ საქართველოს.

სიტყვით გამოვიდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრებიც. ღონისძიება დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, რადგან პატივისცემის და სიყვარულის გამოხატვა ბევრმა მოისურვა.

ყვარელში არაერთი ღონისძიება გამართულა ზურაბ და ნიკო ჭავჭავაძეებისადმი მიძღვნილი, ყოველთვის მხარში გვედგა ბატონი თამაზ კონჭოშვილი, ამჯერადაც უღრმეს მადლობას ვუხდი ბატონ თამაზს ჩვენი ოჯახის თანადგომისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ ზურაბ ჭავჭავაძის ოჯახი დავბრუნდით წინაპართა სახლში და, ძვირფასო ყვარლელებო, გავხდით თქვენი თანამოქალაქენი. ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ თქვენს ყურადღებასა და თანადგომას, რისთვისაც გიხდით უღრმეს მადლობას! ჩვენც მუდამ თქვენს გვერდით გვიგულეთ!

პატივისცემითა და დიდი სიყვარულით,

ნინო ჭავჭავაძე

დრო მიდის, უკან არ ბრუნდება...

საოცარია ცხოვრება, – მიდის წლები, დრო აღარ ჩერდება და ბოლოს, აღმოაჩენ, რომ თურმე მალე ოთხმოცის გახდები, ან უკვე გახდი და, მაინც, ამ ცხოვრების ორომტრიალში მიხვდები, რომ თურმე, შენი კლასელები, ვისთან ერთადაც გაატარე ახალგაზრდობის წლები, ყველაზე საუკეთესო წლები ყოფილა. ძნელი ბავშვობა გამოვიარეთ; კარგად გვახსოვს, ბიჭებიც და გოგონებიც ქალმებით და ნაჭრის ჩანთებით რომ დავდიოდით სკოლაში. ფეხები ისე გვისველდებოდა ზამთარში, რომ ტკივილისგან ვტიროდით და მაინც რა კარგი და რა ტკბილი, გულწრფელი იყო ჩვენი ურთიერთობა. ჩვენმა თანაკლასელმა გურამ იშხანიძემ სიურპრიზი გაგვიკეთა და დაბადების 80 წლისთავზე თავის ოჯახში კლასელები მიგვიწვია. რა ბედნიერი წუთები იყო პირველ რიგში შენთვის, ჩვენო გურამ. ვნახეთ და უფრო ახლოს გავიცანით შენი შესანიშნავი ოჯახი, შვილი გურამი, მისი არაჩვულებრივი მეუღლე თეა, შვილიშვილები – სამი არაჩვეულებრივი ქართველი ვაჟკაცი, რომელთაც წუთით არ დაუტოვებიათ იქ მყოფი სტუმრები უყურადღებოდ, ყოველნაირად ცდილობდნენ პაპისთვის ეს დღე საუკეთესო ყოფილიყო. მისმა ოჯახმა არაჩვეულებრივი სუფრა დაგვახვედრა.

ჩვენო გურამ, მადლობა იმ დღისთვის, იმ ბედნიერი წუთებისთვის. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იმ საღამოს სუფრა ძალიან დაამშვენა შენმა დამ, საუკეთესო ფილოლოგმა და მასწავლებელმა, ქალბატონმა ნინომ. დიდხანს იცოცხლეთ, ასეთი სასიხარულო დღეები არასოდეს მოგკლებოდეთ. და კიდევ გისურვებთ დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს თქვენი არაჩვეულებრივი და-ძმობა. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ სიცოცხლეს შენი საყვარელი ოჯახით, მეგობრებით, ახლობლებით და შენი ერთგული კლასელებით. მადლობა კიდევ და კიდევ ჩვენი კლასის ერთად თავშეყრისთვის, იმ სასიხარულო დღისთვის, რომელიც სანამ ვარსებობთ, ყოველთვის გვემახსოვრება.

ყვარლის I საჯარო სკოლის 1959-60 წლის კურსდამთავრებულები

მაქსიმალურად ვეცდები გავამართლო მშობელთა იმედები და ჩემი მოსწავლეები ვაზიარო ჭეშმარიტ ხელოვნებას

კულტურის განვითარების ცენტრის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტის – „გაიღრმავე ცოდნა“ – ფარგლებში, მიმდინარე წელს მრავალი საინტერესო ღონისძიება მოეწყო ყვარელში. პროექტი მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო ხასიათის წრეებს, სადაც მოზარდები და ბავშვები სწავლობენ უცხო ენებს, ხატვას, ჭადრაკს, მათემატიკას და სხვა...

მაისის დასარულს ილია ჭავჭავაძის ყვარლის მუზეუმის ეზოში წარმოდგენილი ბავშვთა ნახატების გამოფენა ერთერთი დასტურია იმის, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ეს პროექტი და რა მნიშვნელობა აქვს მას ბავშვების განვითარებისთვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული ძალიან საინტერესო ნამუშევრები. გამოფენას მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი ჰყავდა, რომელთაც საქებარი სიტყვები არ დაიშურეს პატარა მხატვრებისთვის და მათი მასწავლებლის თეკლა ჩიხორლიშვილის მიმართ.

თეკლა ჩვენი გაზეთის სტუმარია და თავად გვესაუბრება საკუთარი საქმიანობის შესახებ.

– თეკლა, გაგვაცანი საკუთარი თავი...

– მე ვარ თეკლა ბაცანაძე-ჩიხორლიშვილი.დავიბადე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში, კაჭრეთში, 1991 წლის 7 ივნისს. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

– შენ და ხელოვნება... რა ადგილი უჭირავს ხატვას შენ ცხოვრებაში?

– ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ხატვა. ჩემი ოცნება იყო გამოვსულიყავი მხატვარი. ჩემში ეს ნიჭი დედამ აღმოაჩინა. დედა ფრთებს მისხამდა,..... და შთამაგონებდა, რომ მე საუკეთესო მხატვარი გავხდებოდი და ჩემი ნიჭიერება იშვიათის წილხვედრი იყო. მისი სიტყვები მოტივაციას მაძლევდა. „შენ შეიძლება წერტილი დახატო. ამას ყველა ვერ აღიქვამს, მასში შენი ჩანაფიქრია ჩადებული, ეს მხოლოდ ხელოვანის თვალით აღიქმება.

2003 წელს დავამთავრე მ. თოიძის სამხატვრო ლიცეუმი მეხალიჩე, ხელით მქსოველის სპეციალობით. შევისწავლე ხალიჩების, ფარდაგების, გობელინის ქსოვა, თექის დამუშავება, ხატვა...

2013 წელს დავამთავრე თბილისის საერო სამხატვრო აკადემია ხელოვნების მცოდნე, მხატვარ-დეკორატორის სპეციალობით. პარალელურად შევისწავლე ტიხრული მინანქარი.

ჩემი უპირველესი მიზანია მოვახდინო თვითრეალიზება და ჩემი ცოდნა გადავცე მომავალ თაობას.

დღითიდღე შევისისხლხორცე ხელოვნება და ვარ ყოველდღიურად ახლის ძიებაში. შევისწავლე იაპონური ხელოვნება: კირიგამა, ორიგამა და ქვილინგი. ხელით ვქსოვ მაკრამეს ძაფებით, ვქმნი სამკაულებს, ვმუშაობ დიკუპაჟის ტექნიკით, ძველ ავეჯს ვაძლევ ახალ სიცოცხლეს. მსურს შევისწავლო ყოველივე, რაც ხელოვნებასთანაა კავშირში. ვმონაწილეობდი არაერთ გამოფენაში არტგენის ფესტივალზე.

ხატვას ჩემს შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია. ვხატავ ზეთის საღებავებით, აკრილით, აკვარელით, ტუშით, ნახშირით, ცარცით, მშრალი პასტელებით.

– ამჟამად, კულტურის განვითარების ცენტრის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტის – „გაიღრმავე ცოდნა“ – ფარგლებში, სახვითი ხელოვნების წრის მასწავლებლად მუშაობ.

ყვარლელებმა მაისის ბოლოს შესანიშნავი გამოფენა იხილეს შენი მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატების. რას გვეტყვი როგორც მათი მასწავლებელი?

– 2022-2023 სასწავლო წელს მყავდა ექვსი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში ჩარიცხული იყო 13 ბავშვი.

მადლობა მინდა გადავუხადო პროექტ „გაიღრმავე ცოდნას“ დაარსებისთვის და მხარში დგომისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს გივი ზაუტაშვილს, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილს, წრეების ხელმძღვანელს ეკა ვარდიაშვილს. მათ შესაძლებლობა მისცეს ბავშვებს ყოველგვარი საფასურის გარეშე მიიღონ ცოდნა.

31 მაისს ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში საოცარ გარემოში გვიმასპინძლა ქალბატონმა შორენა სეფაშვილმა, სადაც ყვარლის კულტურის ცენტრის საგანმანათლებლო–შემეცნებითი პროექტის – „გაიღრმავე ცოდნა“ ფარგლებში სახვითი ხელოვნების წრის მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ჟიურის მიერ გამოვლენილი იქნენ I,II და III ადგილზე გამოსული კონკურსანტები. მათ გადავეცით საჩუქრები (ტილო, აკრილის საღებავები, ფუნჯები) ყველა მონაწილეს გადავეცით სიგელები.

ამ გამოფენამ მეტად წამოაჩინა ჩემი დაუღალავი შრომის შედეგი. დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

ვიმედოვნებ, რომ ეს გამოფენა კიდევ უფრო აამაღლებს მოტივაციას ბავშვებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაიზარდა მსურველთა მოთხოვნა.

2022-2023 წლებში ფუნქციონირებდა ხატვის, ქარგვის, უცხო ენების, ჭადრაკისა და მათემატიკის წრეები. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება თექის წრის დამატება.

მაქსიმალურად ვეცდები გავამართლო მშობელთა იმედები და ჩემი მოსწავლეები ვაზიარო ჭეშმარიტ ხელოვნებას.

წარმატებებს გისურვებთ!

ია გიგიაშვილი

აგვისტოს ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

2008 წლის აგვისტოს ომიდან 15 წელი გავიდა. ქვეყნის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლას ყვარლის მუნიციპალიტეტიდან ოთხი ახალგაზრდა გმირის სიცოცხლე შეეწირა – ზურაბ ტურაშვილი, ილია შავერდაშვილი, პოლკოვნიკი – დავით ელიზბარაშვილი და გელა მებაღიშვილი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა, მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ოთარ ბუჯიაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გარდაცვლილი გმირების საფლავები და მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პატრონაჟით, პროგრამის „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) ფარგლებში დაფინანსებული, მუნიციპალური ინტეგრირებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება გახსნეს და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა; საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განვითარების და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ნიკოლას სენდეროვიჩმა, გერმანიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ლიდია ქრისტმანმა, GIZ – საქართველოს რეგიონალურმა დირექტორმა სანდრა შენკემ და GIZ – ის პროექტის CESL მთავარმა ხელმძღვანელმა, ჰოვარდ ჰარდინგმა.

ღონისძიების ძირითადი მიზანს წარმოადგენდა, 14 მუნიციპალიტეტის მერს, მისცემოდა შესაძლებლობა, წარმოედგინათ CESL პროექტის ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული ინიციატივები. ასეთი საგრანტო პროექტებია: კოლხეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ბაღდადის ღვინის თანამედროვე ლაბორატორიის მოწყობა, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია. ღონისძიების ფარგლებში, ასევე წარმოდგენილი იქნა შერჩეული მუნიციპალიტეტების ბენეფიციართა მიერ წარმოებული სხვადასხვა პროდუქცია.

ღონისძეიებაში მონაწილეობა მიიღეს, საქართველოს 4 რეგიონის: გურიის, იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადგილობრივმა, სამოქალაქო საზოგადოების და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა. მოწვეულ სტუმრებს შორის, ასევე წარმოდგენილი იყვნენ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოში ევროკავშირისა და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს 100-მდე სტუმარი.

ევროკავშირის 6.5 მილიონი ევროს დაფინანსებით, ხოლო გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს 1 მილიონი ევროს კონტრიბუციით, GIZ 4 წლიან პროგრამას – EU4ITD – „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ ახორციელებს, რათა გამოავლინოს გამოუყენებელი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალი საქართველოს ოთხ რეგიონში – გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი. პროექტის მიზანია, მოხდეს არსებული, მაგრამ აუთვისებელი პოტენციალის “კატალიზირება“, დადებითი ეკონომიკური და სოციალური შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონებიდან მიგრაციის შემცირებას და იმ მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას, რომლებიც საქართველოს რეგიონებში, საცხოვრებლად გადასვლას ამჯობინებენ.

პროექტი, ძირითადად მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობს და თითქმის 4 წელი (2025 წლის სექტემბრამდე) გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ინიციატივები (მაგ. ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა) გამიზნულია ხელი შეუწყოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების დაახლოვებასა და თანამშრომლობას.

მინი ფეხბურთში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

17 აგვისტოს, ყვარლის სასპორტო სკოლის დარბაზში გაიმართა ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელიც ფეხბურთელ დავით გვენცაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ტურნირში მონაწილეობას ოთხი გუნდი იღებდა. I ადგილი დაიკავა გუნდმა „იანგ ბოისი“, ხოლო II ადგილი – გუნდმა „ჯანო და მასხარები“.

შეჯიბრს ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, სპორტსმენები და ადგილობრივი მოსახლეობა.

სატიტულო ქამარი მოიპოვა

სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ვანაძორში გაიმართა 34-ე საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში (K1 სისტემით), რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში მცხოვრები, 15 წლის კიკბოქსიორი, გიგი ხეჩიაშვილი.

გიგი ხეჩიაშვილმა 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა და სატიტულო ქამრისათვის ბრძოლაში დაამარცხა სომეხი სპორტსმენი არმენ ოხანიანი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა, სპორტსმენს გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გაფრთხილება და რეკომენდაციები

პროდუქტებისა და სურსათის შერჩევის თემა ადამიანებისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხია და, რა თქმა უნდა, ფასთან ერთად, ხარისხიც ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაზე საყურადღებოდ ასარჩევი პროდუქტები ძირითადად, ხორცი და თევზეულია. **სურსათის ეროვნული სააგენტო** მომხმარებლებს კონკრეტული **რჩევით მიმართავს**, თუ რა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული პროდუქტების შერჩევისას და რეკომენდაციებს საკუთარ გვერდზე აქვეყნებს:

ხორცს არ უნდა ჰქონდეს მუქი წითელი შეფერილობა.

ძროხისა და ცხვრის ხორცი ჟოლოსფერ-წითელი შეფერილობის უნდა იყოს, ხბოს ხორცი – ვარდისფერი, ღორის ხორცი – ღია წითლიდან მოვარდისფრო-მონაცრისფრო შეფერილობის.

ძროხის ცხიმი უნდა იყოს მოყვითალო შეფერილობის, მაგარი კონსისტენციის. ცხვრის ცხიმი მკრთალი ფერის, მაგარი უნდა იყოს. ღორის ცხიმი კი – თეთრი, ერთგვაროვანი.

ხორცის ზედაპირზე ე.წ. «სიმშრალის ქერქი» უნდა იყოს წარმოქმნილი. თითის დაჭერისას წარმოქმნილი ფოსო სწრაფად უნდა გასწორდეს.

ხორცს არ უნდა ჰქონდეს მუქი ლაქები, გარქოვანებული ნაწილები, ლორწო.

სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, რომ არ შეიძინონ ხორცი ისეთ ადგილებში, სადაც შენახვისა და რეალიზაციის პირობები დაცული არ არის.

რაც შეეხება თევზეულს, უმჯობესია, თუ შემდეგ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ:

არ შეიძინოთ თევზი, თუ მძაფრი, არაბუნებრივი სუნი აქვს. ასეთი თევზი საკვებად უვარგისია.

დააკვირდით თევზის თვალებს: ახალი თევზის თვალები და რქოვანა ამოწეული და გამჭვირვალეა. თუ თვალები ჩაცვენილი და მღვრიეა, ასეთი თევზის შეძენა რეკომენდებული არ არის.

თევზის ქერცლი უნდა იყოს მბზინვარე და ოდნავ გაუფერულებული, აუცილებელია, მჭიდროდ ეკვროდეს სხეულს.

საკვებად ვარგისი თევზის ფერი მის ბუნებრივ შეფერილობას უნდა შეესაბამებოდეს და არ უნდა იყოს დაფარული მღვრიე ლორწოთი.

თევზის ლაყუჩები წითელი ფერის უნდა იყოს. ლაყუჩების სახურავი მჭიდროდ უნდა ფარავდეს ლაყუჩების ღრუს.

თუ ლაყუჩები წამოწეული და მუქია, ასეთი თევზი ძველია.

არ შეიძინოთ თევზი, თუ სხეულზე ზურგის კუნთების მიდამოში თითის დაჭერისას გაჩენილი ფოსო არ ქრება. ხორცი ადვილად სცილდება ძვლებს და იშლება. ახალი თევზის ხორცს მკვრივი კონსისტენცია აქვს და თითის დაჭერისას გაჩენილი ფოსო უმალვე ივსება.

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86